

# ଶ୍ରୀଜନ୍ମମାଳା

4





## Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

Musiqisi Üzeyir Hacıbəylinin,  
sözləri Əhməd Cavadındır.

Azərbaycan! Azərbaycan!  
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!  
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırlız!  
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadırız!  
Üçrəngli bayraqınla məsud yaşa!  
Minlərlə can qurban oldu!  
Sinən hərbə meydan oldu!  
Hüququndan keçən əsgər,  
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,  
Sənə hər an can qurban!  
Sənə min bir məhəbbət  
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,  
Bayrağını yüksəltməyə  
Cümlə gənclər müştaqdır!  
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!  
Azərbaycan! Azərbaycan!



**ՀԵՂՋԱՆ ԱԼՊԵՅՅՈ**  
ԱԽԵԲՋԱԶՋԵԼՈ ԿԱՀԿՈՍ ՍԱԷՐԹՈ ԱՐԹՎԵԼՈ ՀՈԴԵՐՈ

ნატიკ ახუნდოვი, გუმეირ ახმედოვი,  
სურამან სალიმოვა, სვეტლანა იახიავაძე

# ტექნიკოგია

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-4 კლასისათვის  
«ტექნოლოგია» საგნის  
სახელმძღვანელო

დამტკიცებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის  
განათლების სამინისტროს 17.06.2011 წლის  
№1133-ე ბრძანებით.

© აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო-2016

საავტორო უფლებები დაცულია. სპეციალური წებართვის გარეშე ამ გამოცემის ან მისი  
რომელიმე ნაწილის ხელახალი გამოცემა, ასლის გადაღება, ელექტრონული  
საინფორმაციო სამუალებებით გავრცელება კანონით აკრძალულია.

გამომცემლობა «Aspoliqraf LTD»

გთხოვთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული თქვენი გამოხმაურება, შენიშვნები და  
წინადადებები გამოაგზავნოთ [aspoliqraf.ltd@gmail.com](mailto:aspoliqraf.ltd@gmail.com) და [derslik@edu.gov.az](mailto:derslik@edu.gov.az)  
ელექტრონულ მისამართებზე. წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან  
თანამშრომლობისათვის!



## ძვირფასო მოსხავლებო!

IV კლასში საგანში „ტექნოლოგია“ თქვენ გააგრძელებთ თქვენი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებას ნაკეთობების დამზადების საქმეში, შექმნით საკუთარ პროექტებს.

კულტურის თანამედროვე ხელქმნილი სამყარო სულაც არ ჰგავს იმას, რომელშიც ხალხიცხოვრობდა არათუ ათასი, არამედ 10-20 წლის წინაც კი.

ამ წლებში სხვანაირი გახდა ჩვენი ყოფითი საგნები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი, გადაადგილებისა და ინფორმაციის საშუალებები, და, რაც მთავარია, მათი წარმოების ტექნოლოგიები.

კულტურაში ასეთი მუდმივი ცვლილებები იმიტომ ხდება, რომ ყველა ცოცხალი არსებისთვის საერთო ძირითადი მოთხოვნილებების გარდა ადამიანს აქვს ხელოვნების, უკვე შექმნილის სრულყოფის და გაუმჯობესების მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მოთხოვნილება. ეს მოთხოვნილებები, რომლებიც გამოიხატება სიტყვებით „უფრო მეტად, უკეთესად, უფრო მყარად, უფრო მოხერხებულად, უფრო ლამაზად, უსაფრთხოდ“, უბიძებს ადამიანს შეხედოს გარესამყაროს მკვლევარის თვალით, გააკეთოს სამეცნიერო აღმოჩენები და გამოგონებები, რათა შექმნას ახალი და მრავალფეროვანი ტექნოლოგიური პროექტები.

პროექტი ხომ, როგორც იცით, ყოველთვის არის რომელიმე პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტა. ამიტომ ყოველმა ადამიანმა უნდა ისწავლოს არა მარტო ასეთი ამოცანების დანახვა, არამედ მათი გადაწყვეტაც.

თქვენ გამოცდით თქვენს ძალებს საკუთარი პროექტების შექმნაში. შექმნილი ნაკეთობების ტექნოლოგიური კრიტერიუმებით შეფასებისას თქვენ იაზროვნებთ ტექნოლოგიურად, დაუსვამთ საკუთარ თავს კითხვებს: როგორ არის ყველაფერი მოწყობილი და კიდევ რა უნდა გაუმჯობესდეს?

თქვენ თვითონვე, თქვენი ფანტაზიის გამოყენებით შეძლებთ დაამზადოთ სხვა ნაკეთობები, რომლებიც წარმოდგენილი არ არის სახელმძღვანელოში.

### გისურვებთ შემოქმედებით ნარჩატებებს!

ევამოთ მოყვანილი ნიშვნები გითარნახებთ,  
თუ როგორ უდია მიუდგეთ დავალებას შესრულებას:

 დაფიქრდით

 დააკვირდით

 შეასრულეთ დავალება

 გაცვალეთ აზრები

 გააკეთეთ დასკვნა

 შემოქმედებითი დავალება შეძენილი ცოდნისა და უნარების დამოუკიდებლად გამოყენებისათვის

 ყურადღებით იყავით მჭრელი და მჩხვლეტი ინსტრუმენტების გამოყენებისას, დაიცავით უსაფრთხოების წესები.

 დამოუკიდებლად შეასრულეთ ესკიზი.

## ტექნოლოგიაზე განვითარება




რა ვიცით ტექნოლოგიების შესახებ?

უძველესი დროიდან ადამიანი აკეთებდა აღმოჩენებს, რომელიც ცვლიდნენ და აუმჯობესებდენ მისი ცხოვრებისა და შრომის პირობებს.

მრავალი ათასი წლის წინ ადამიანი მთელ სამუშაოს თვითონ ასრულებდა, საკუთარი ძალის გამოყენებით.

შემდგომ მან ისწავლა ცხოველების მოშინაურება და მათი გამოყენება საკუთარი საჭიროებისთვის.




მოგვიანებით ადამიანმა დაიწყო მარტივი მექანიზმების გამოყენება, რომლებიც მას შრომას უმსუბუქებდნენ. ადამიანმა ისწავლა ქარისა და წყლის ბუნებრივი ენერგიის გამოყენება.



ორთქლის ძალის გამოყენების იდეამ მიგვიყვანა ორთქლის მანქანების შექმნამდე.



შემდეგ გამოგონილ იქნა შიდა წვის ძრავა. ამ გამოგონებამ ახალი მანქანების შექმნის საშუალება მოგვცა.



კაცობრიობამ ისწავლა ქვანახშირის, ნავთობის, ბუნებრივი აირის მოპოვება და მათი გარდაქმნა საწვავად, ელექტროენერგიის მიღება და მისი გარდაქმნა შუქად, სითბოდ, მექანიკურ მოძრაობად.

ხოლო XX საუკუნეში ადამიანებმა მოიფიქრეს ინფორმაციის გადაცემისა და შენახვის ახალი მეთოდები და შექმნეს სპეციალური ტექნიკური საშუალებები (ტელევიზორები, მობილური ტელეფონები, ფოტო- და ვიდეოკამერები, კომპიუტერები).




კომპიუტერის, ტელეფონის და სპეციალური მოწყობილობის (მოდემის) დახმარებით შეიძლება გქონდეთ წვდომა მსოფლიო საინფორმაციო ქსელთან – ინტერნეტთან.

ინტერნეტის დახმარებით შეგიძლიათ გაიგოთ ახალი ამბები; წაიკითხოთ გაზეთები, ჟურნალები, წიგნები; გაეცნოთ ხელობების და ტექნოლოგიების ისტორიას; ბიბლიოთეკებისა და სასწავლო დაწესებულებების საიტზე ყოფნის დროს შეიძლება მიიღოთ სწავლის, მუშაობის და თვითგანათლებისათვის აუცილებელი ნებისმიერი ინფორმაცია; სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ თქვენს თანატოლებთან დისკუსიაში განიხილოთ თქვენთვის საინტერესო ნებისმიერი საკითხი.

ბოლო 100 წლის განმავლობაში გამოგონილ იქნა მრავალი მოწყობილობა (საყოფაცხოვრებო ხელსაწყო), რომელებმაც შეამსუბუქეს ადამიანის შრომა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

საყოფაცხოვრებო ხელსაწყოები, რომელებიც XX საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა, სულ არ ჰელი თანამედროვეებს, რომლებითაც ჩვენ ახლა ვსარგებლობთ. მაგალითად, პირველი მტვერსასრუტი გამოგონილ იქნა 1904 წელს. იგი მტვერს ისრუტავდა ბენვის მეშვეობით, რომელსაც ხელით კუმშავდნენ.



პირველი სარეცხი მანქანა წარმოადგენდა ხის ტაშტს, რომელშიც დებდნენ თეთრეულს და ატრიალებდნენ მას სახელურის ბრუნვით.



XX საუკუნის დასაწყისამდე საჭმელს ამზადებდნენ ღუმელებში, ხოლო შემდეგ მოიგონეს თუჯის ღუმელები, რომლებსაც ახურებდნენ ქვანახშირით ან შეშით. პირველი გაზის ღუმელი გამოჩნდა XIX საუკუნის ბოლოს – XX საუკუნის დასაწყისში.



რადიომიმღები გამოგონილ იქნა 1895 წელს, ხოლო შემდგომ, XX საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო რადიომიმღებების მასობრივი წარმოება. მათი ხმა ძალიან სუსტი იყო, ამიტომ საჭირო იყო ყურსასმენების გამოყენება.



ტელევიზორი გამოიგონეს XX საუკუნის 30-იან წლებში. მას ჰქონდა პატარა ეკრანი მოციმციმე შავ-თეთრი გამოსახულებით.



### პითევები



1. რომელი საყოფაცხოვრებო ხელსაწყოები იცით?
2. როგორ ეხმარებიან ისინი ადამიანებს?
3. რომელი საყოფაცხოვრებო ტექნიკა გეხმარებათ სახლის საქმეში?
4. საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების გამოყენებით სახლში რომელი საქმის შესრულება უფრო მოგწონთ?



თანამიმდევრობით ჩამოთვალეთ ტექნოლოგიების განვითარების ეტაპები.

## საცარმოები და წარმოება



ათასწლეულების განმავლობაში ადამიანებმა ისწავლეს თავისთვის სახლების აშენება, საკვების მოპოვება, ცხოვრებისთვის აუცილებელი ნაკეთობების შექმნა და წარმოება.



მაგრამ რა არის წარმოება?  
რა არის საწარმო?

**წარმოება** (იგივე, რაც მრეწველობა, ინდუსტრია) – ეს არის ადამიანისთვის აუცილებელი ნივთების – შრომის იარაღების, მექანიზმების, მანქანების, სატრანსპორტო საშუალებების, კავშირისა და ინფორმაციის საშუალებების დამზადება ბუნებრივი ნედლეულის, მასალების და ენერგიის გარდაქმნის შედეგად.

ზემოთ ჩამოთვლილი ნივთები მზადდება **საწარმოებში**.



როგორი საწარმოები იცით?  
რა იცით ქარხნის, ფაბრიკის და კომპინატის შესახებ?


**ქარხანა** – ეს არის საწარმო წარმოების მექანიზირებული პროცესებით (მაგალითად, საავტომობილო ქარხანა, საავიაციო ქარხანა, იარაღის ქარხანა, შუშის ქარხანა და ა.შ.).

ქარხნებში მუშები ან ავტომატური მექანიზმები ეტაპობრივად აწყობენ ნაკეთობებს. საავტომობილო ქარხანაში ავტომობილებს ამზადებენ კონვეირული აწყობის მეთოდით.





სურათზე დაყრდნობით გვიამბეთ ავტომობილების მასობრივი წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიის შესახებ.



**ფაბრიკა\*** – ეს არის მსხვილი სამრეწველო საწარმო, რომელსაც ჰქონდების დიდი რაოდენობა და სადაც ხდება საქონლის წარმოება არა შეკვეთით, არამედ შაბლონის მიხედვით (მაგალითად, სამკერვალო ფაბრიკა, საკონდიტრო ფაბრიკა, წინდების ფაბრიკა, ჩაის ფაბრიკა, ავეჯის ფაბრიკა და ა. შ.).




\* ფაბრიკა ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სახელოსნოს.

**კომპინატი**\* – სხვადასხვა საწარმოების გაერთიანება ერთიან წარმოებაში, რომელიც უშვებს ერთი დანიშნულების პროდუქციას (ნაკეთობებს) მასობრივი მოხმარებისათვის (მაგალითად, მეტალურგიული კომპინატი, ქიმიური კომპინატი, სამშენებლო კომპინატი და ა. შ.).



დაათვალიერეთ მეტალურგიული კომპინატის სქემატური ნახატი და გვიამბეთ მასობრივი წარმოების, მაგალითად, მეტალის ნაკეთობების წარმოების, თანამედროვე ტექნოლოგიის შესახებ.



### მეტალურგიული კომპინატი:

1. მარტენის ღუმელი;
2. ნედლეული, რომელიც მიეწოდება ღუმელში;
3. დანადგარები უანგბადითა და ნამუშევარი აირებით;
4. საამქროები, რომლებშიც ხდება ფოლადის დეტალების გამოდნობა;
5. მეტალის დამამუშავებელი საამქროები;
6. ადმინისტრაცია და საკონსტრუქტორო ბიური;
7. მზა პროდუქციის საწყობი.

### კითხვები



1. დაასახელეთ თქვენთვის ცნობილი საწარმოო პროდუქცია.
2. სად აწარმოებენ პროდუქციას?
3. რა არის საწარმო?
4. რით განსხვავდება ქარხანა ფაბრიკისგან?
5. გვიამბეთ, რა იცით კომპინატის შესახებ.



გვიამბეთ თქვენთვის ცნობილი საწარმოების შესახებ.

\* კომპინატი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს შეერთებულს.

## ტექნოლოგიაზე და დამუშავების საშუალებები



როგორ ხდება პროდუქციის/ნაკეთობის დამზადება საწარმოებში?

რა იცით დამუშავების ტექნოლოგიების შესახებ?

დამუშავების რომელი ტექნოლოგიებია თქვენთვის ცნობილი?

სხვადასხვა საწარმოში ხდება სხვადასხვა ნაკეთობების წარმოება. ნაკეთობის დასამზადებლად საჭიროა მასალის დამუშავება. ხოლო მასალის დასამუშავებლად ხდება დამუშავების სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენება.



**დამუშავების ტექნოლოგია** – ეს არის მასალის დამუშავების ტექნოლოგიური ოპერაციები, რომლებიც გამოიყენება ნაკეთობის დამზადების პროცესში, ნედლეულის, მასალის და ნახევარფაბრიკატის მდგომარეობის, თვისებების და ფორმის შეცვლის მიზნით. მაგალითად, გაზომვა, მონიშვნა, დაჭრა, დახვრეტა, ძერწვა, შეერთება, დაკეცვა, კერვა, დაწვნა და ა. შ. წარმოადგენენ ტექნოლოგიურ ოპერაციებს ანუ დამუშავების ტექნოლოგიებს.



რისი თქმა შეგიძლიათ დამუშავების საშუალებებზე?

დამუშავების რომელი საშუალებები იცით?

რისი თქმა შეგიძლიათ მათი დანიშნულების შესახებ?

ინსტრუმენტებს, რომლებიც ცვლიან მასალის ფორმას, ზომას და სახეს დამუშავების საშუალებები ეწოდება.

ინსტრუმენტები, რომლებსაც იყენებს ადამიანი, წარმოადგენენ დამუშავების საშუალებებს.

**მაკრატელი** – საჭრელი ინსტრუმენტი. საყოფაცხოვრებო მაკრატლებით, ჩვეულებრივ, ჭრიან ქაღალდს და ქსოვილს, აგრეთვე კრეჭენ თმას და ჭრიან ფრჩხილებს. არსებობს აგრეთვე საწარმოო მაკრატლების სხვადასხვა სახეობები. მაგალითად, თუნუქის, კაბელის გასაჭრელად. ჰიდრავლიკური მაკრატლები ფართოდ გამოიყენება მაშველების მიერ, მაგალითად, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს დაზარალებულების მანქანიდან გამოსაყვანად.



**სახრახნისი** – ხელის საზეინკლო ინსტრუმენტი, განკუთვნილი ისეთი ხრახნიანი სამაგრო ნაკეთობების ჩასახრახნად და ამოსახრახნად, რომლებსაც თავზე აქვთ შლიცი\*.



\* **შლიცი** – ნაჭდევი, პაზი.



**ნემსი** – მაგარი მასალისგან დამზადებული გრძელი წვრილი წვეტიანი ინსტრუმენტი ძაფის გასაყრელად განკუთვნილი ყუნწით ერთი მხრიდან. ნემსის დახმარებით ასრულებენ სამკერვალო ოპერაციებს.



**ჩაქუჩი** – დასარტყამი ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ლურსმნების ჩასაჭედებლად, ნივთების გასატეხად და სხვა სამუშაოებში. ჩაქუჩი ერთ-ერთი უძველესი ინსტრუმენტია, რომელსაც იყენებდა ადამიანი.



**ელექტრობურლი** – ელექტრომექანიკური ინსტრუმენტი, რომელიც განკუთვნილია ნახვრეტების გასაბურლად. მისი დახმარებით სრულდება საპასუხისმგებლო ოპერაციები სამშენებლო, სახარატო და სადურგლო სამუშაოებში.



**ნაჯახი** – მჭრელი ინსტრუმენტი. ნაჯახის მეტალის თავი ბასრი პირით მყარად არის დამაგრებული ხის ტარზე. ნაჯახი ჩვეულებრივ გამოიყენება ხუროს საქმეში ხის გაჭრის მიზნით ან მისთვის ფორმის მისაცემად, აგრეთვე ხეების მოსაჭრელად.



**გირაგი** – საზეინკლო ან სადურგლო ინსტრუმენტი. გამოიყენება დეტალის დასაფიქსირებლად სხვადასხვა სახის დამუშავების დროს (ქლიბვა, ბურღვა, გაშალაშინება და ა. შ.). გირაგი წარმოადგენს წყვილ პარალელურ ტუჩს, რომელთაგან ერთერთი, როგორც წესი, უძრავია, ხოლო მეორე ეჭირება დეტალს ხრახნის მეშვეობით, საზეინკლო გირაგი უფრო ხშირად მზადდება მეტალისგან, ხოლო სადურგლო გირაგი – ხისგან.



**შალაშინი** – ხელის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ხის ხელით გასაშალაშინებლად. შალაშინი გამოიყენება ხის ნაკეთობების ზედაპირის გასასწორებლად და გასათანაბრებლად, მათი სისქის და ზომების შესამცირებლად.



**დანა** – მჭრელი ინსტრუმენტი. იგი შედგება ბასრი პირისა და ტარისგან. პირს შეიძლება ჰქონდეს მახვილი წვერი. დანებად აგრეთვე იწოდებიან სხვადასხვა ინსტრუმენტების, ჩარხების, მანქანების და მექანიზმების (მაგალითად, შალაშინის, საკეპი მანქანის, ბულდოზერის და ა. შ.) მჭრელი ნაწილები.

**ხერხი** – ინსტრუმენტი მრავალი კბილანებით მკვრივი მასალების (ხის, მეტალის, პლასტიკატის, ქვის და სხვა) გასახერხად.



**სადგისი** – ტარიანი ნემსი. გამოიყენება ფეხსაცმლის ხელოსნების მიერ მკვრივი მასალის (მაგალითად, ტყავის) გასახვრეტად. გამოყენებას ჰპოვებს სხვა ხელოსნებთანაც (დურგალი, ხურო) საკანცელარიო ნივთის, ელექტროსამონტაჟო ინსტრუმენტის სახით. მახათს შეიძლება ჰქონდეს პლასტმასის ან მეტალის ტარი.



**ბურლი** – განკუთვნილია ნახვრეტების გასაბურლად. ბურლების გამოყენება აგრეთვე შეიძლება უკვე არსებული ნახვრეტების გასაფართოებლად.



**ნიჩაბი** – ხელის ინსტრუმენტი მიწაზე სამუშაოდ (თხრა, გასუფთავება, გადატანა). იგი წარმოადგენს ტარზე წამოცმულ ფართო ბრტყელ პირს.



## კითხვები



1. როგორ ამზადებენ ნაკეთობებს საწარმოებში?
2. დამუშავების რომელი ტექნოლოგიები იცით?
3. რისთვის არის განკუთვნილი დამუშავების ტექნოლოგიები?
4. რა მიზნით გამოიყენება დამუშავების საშუალებები?
5. რომელი ტექნოლოგიური ოპერაციები სრულდბა თქვენთვის ცნობილი დამუშავების საშუალებებით?



გვიამბეთ სამკერვალო და სადურგლო ინსტრუმენტების და ამ ინსტრუმენტებით შესრულებული ტექნოლოგიური ოპერაციების შესახებ.

## ტექნოლოგიური საშუალებებისა და მანქანების კლასიფიკაცია



რომელ ჯგუფებად შეიძლება დაიყოს ტექნოლოგიური  
საშუალებები მათი დანიშნულების მიხედვით?

სხვადასხვა ტექნოლოგიურ ოპერაციებში გამოყენებული ინსტრუმენტები  
მათი დანიშნულების მიხედვით იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

- \* საზეინკლო ინსტრუმენტები
- \* სადურგლო ინსტრუმენტები
- \* სამშენებლო ინსტრუმენტები
- \* სასოფლო-სამეურნეო ინსტრუმენტები
- \* მეტეოროლოგიური ხელსაწყოები და ინსტრუმენტები
- \* მზომი ხელსაწყოები
- \* ქიმურგიული ინსტრუმენტები
- \* საგზაო ინსტრუმენტები

ჩამოვთვალოთ ის ინსტრუმენტები, რომელთა დასახელებაც ტექნოლოგიის გაკვეთილებზე ყველაზე ხშირად გვესმის:

**საზეინკლო ინსტრუმენტები** – დრელი, ჩაქუჩი, გაზი, ქლიბი, სახრახნისი, ბრტყელტუჩა, მახვილტუჩა, ხის ჩაქუჩი (კიანკა), ღოვი, გამხვრეტიდაა. შ.

**სადურგლო ინსტრუმენტები** – ბურაო, ბენვა ხერხი\*, ხერხი, შალაშინი, ხელის ხერხი, სატეხი (სტამესკა), ნაჯახი და ა. შ.

**სამშენებლო ინსტრუმენტები** – ელექტრობურლი, ურო, პერფორატორი (ინსტრუმენტი ნახვრეტების გასაკეთებლად), ელექტრული დისკური ხერხი, სატეხი (სტამესკა), მღებავის სახეხი, ხის ხერხი, წყლის სასწორი და სხვა.

**სასოფლო-სამეურნეო ინსტრუმენტები** – სარწყავი, ნიჩაბი, ფინალი, რკინის ნიჩაბი, ფოცხი, ცელი, გუთანი, თოხი, სეკატორი და ა. შ.

დანიშნულებისა და სამუშაო პროცესის ხასიათის მიხედვით მანქანები იყოფა ქვემოთ ნაჩვენებ ჯგუფებად:

**ენერგეტიკული მანქანები (მანქანა-ძრავები)** – ეს მანქანები განკუთვნილია ამა თუ იმ სახეობის ენერგიის გარდასაქმნელად მექანიკურ ენერგიად (მაგალითად, ელექტროძრავები, შიდაწვის ძრავები, მაცივრები და ა. შ.).

**გარდამქმნელები (გენერატორები)** – ეს მანქანები გარდაქმნიან ძრავიდან მიღებულ მექანიკურ ენერგიას ენერგიის სხვა სახეობაში (მაგალითად დენის გენერატორები, ტურბინები და ა. შ.).

**ტრანსპორტი** – ამის შესახებ თქვენ ინფორმაცია მიიღეთ III კლასში.

**ტექნოლოგიური მანქანები (მანქანა-იარაღები, მუშა მანქანები)** – ეს მანქანები ძრავიდან მიღებულ მექანიკურ ენერგიას იყენებენ დასამუშავებელი ობიექტების ფორმისა და მდგომარეობის შეცვლისთვის (მაგალითად, მეტალის დამუშავებელი ჩარხები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, საქსოვი და პოლიგრაფიული დაზები და ა. შ.).

**სატრანსპორტო მანქანები** – ამ მანქანების დანიშნულებაა საგნებისა და მასალების მდგომარეობის და გადაადგილების მიმართულების შესაცვლელად (მაგალითად, კონვეიერები, ამწე კრანები, ტუმბოები და ა. შ.).


ინფორმაციული მანქანები – ეს მანქანები განკუთვნილია ინფორმაციის გაცვლისთვის (მაგალითად, კომპიუტერები, მექანიკური ინტეგრატორები\*\* და ა. შ.).

მანქანათა სიმრავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ძრავები. თვითმფრინავების მოძრაობაში მოყვანა ხდება რეაქტიული ძრავებით.

**გაცეცნოთ რეაქტიული ძრავის მუშაობას.** ამ ძრავის წინა ნაწილში განლაგებული პროპელერი შეიწოვს ჰაერს. შემდგომ ხდება ჰაერის შეკუმშვა, რომელიც წვის კამერაში საწვავის დაწვის ხარჯზე ცხელდება. ამის შედეგად ჰაერი ფართოვდება. გაცხელებული ჰაერის ჭავლი გამოიდევნება ძრავის უკანა ნაწილიდან და ამით მოძრაობაში მოჰყავს თვითმფრინავი.



რეაქტიული ძრავა



წყლის ციცხვური ტურბინა



ქარის ტურბინა

**ტურბინა** – ძრავა როტორით, რომელშიც ორთქლის, აირის ან მოძრავი წყლის ენერგია გარდაიქმნება მექანიკურ ენერგიად. წყლის ჭავლს მოძრაობაში მოჰყავს ციცხვური ტურბინის ფრთები და აბრუნებს ლილვს. ქარის ტურბინის ფრთები ბრუნავენ ქარის ზემოქმედებით. წყლის და ქარის ტურბინები ძირითადად გამოიყენება ელექტროგენერატორებში.

## პითევები



1. რომელ ჯგუფებად იყოფა ტექნოლოგიური საშუალებები?
2. როგორი სასოფლო-სამეურნეო ინსტრუმენტებია თქვენთვის ცნობილი?
3. რა ჯგუფებად იყოფა მანქანები?
4. რა ასრულებს ძირითად როლს რეაქტიული ძრავის მუშაობაში?



გვიამბეთ სამშენებლო ინსტრუმენტების და მათი გამოყენების წესების შესახებ.

## საყოფაცხოვრებო ტექნიკა



რა იცით საყოფაცხოვრებო ტექნიკის შესახებ? რომელი ტექნიკური საშუალებები გამოიყენება ყველაზე მეტად ყოფა-ცხოვრებაში?

ყოფა-ცხოვრებაში გამოიყენებულ ყველა ტექნიკურ მოწყობილობას საყოფაცხოვრებო ტექნიკა ეწოდება. საყოფაცხოვრებო ტექნიკა ამსუბუქებს შრომას და ადამიანს ყოველდღიურ ცხოვრებაში კომფორტს უქმნის.

კონკრეტულად საყოფაცხოვრებო ტექნიკას მიეკუთვნება შემდეგი საგნები:

**გამოსათვლელი ტექნიკა –** კალკულატორი, პერსონალური კომპიუტერი.

**სამზარეულოს ტექნიკა –** მაცივარი, საყინულე.

**მექანიკური დამუშავებისთვის –** მიქსერი, ბლენდერი, ხორცის საკეპი მანქანა, სამზარეულოს კომბაინი, პურის საჭრელი, ჭურჭლის სარეცხი მანქანა, წვენსაწური, ყავის საფეხვავი.

**თერმული დამუშავებისთვის –** გაზქურა, ელექტროქურა, მიკროტალღური ღუმელი, ყავის ელექტრომადულარა, ელექტროჩაიდანი, ტოსტერი.

**ტანსაცმლის მოვლისთვის –** სარეცხი მანქანა, ელექტროუთო, საკერავი მანქანა.

**სახლის დასალაგებლად –** მტვერსასრუტი, მრეცხავი მტვერსასრუტი.

**სხვა ტექნიკა –** ვენტილატორი, კონდიციონერი, გათბობის რადიატორი, ჰერის იონიზატორი, წყლის ელექტროგამაცხელებელი, გამანათებელი ტექნიკა, ელექტროფენი.

**ელექტრონული მოწყობილობები –** სახლის კინოთეატრი, მუსიკალური ცენტრი, ტელევიზორი, საყოფაცხოვრებო გამაძლიერებელი, ციფრული ფოტოაპარატი, ტელეფონის აპარატი.

საყოფაცხოვრებო ტექნიკის უმრავლესობა (ტელევიზორი, მუსიკალური ცენტრი, საყოფაცხოვრებო კონდიციონერი და ა.შ.) იმართება დისტანციური მართვის პულტით. ეს ძალიან მოსახერხებელია – საჭირო არ არის მოწყობილობასთან მისვლა და ღილაკებზე დაჭერა.



დისტანციური მართვის როგორი პულტები არსებობს?

არსებობს ორიგინალური და უნივერსალური პულტები. უნივერსალურ პულტებს შეიძლება ჰქონდეთ სწავლების და პროგრამირების ფუნქცია.

ყოველ კონკრეტულ მოწყობილობას, მაგალითად ტელევიზორს, კონდიციონერს აქვს თავისი ორიგინალური პულტი. გაცილებით მოსახერხებელია ყველა პულტის შეცვლა ერთი უნივერსალური პულტით, რადგან ამ პულტში შეიძლება ბევრი მოწყობილობის მართვის პროგრამის შეცვანა და მათი ერთი ღილაკით მართვა. სხვა ელექტროული ხელსაწყოები იმართებიან ღილაკებით „ჩართვა – გამორთვა“.

### კითხვები

1. რას გულისხმობთ გამოთქმაში საყოფაცხოვრებო ტექნიკა?
2. საყოფაცხოვრებო ტექნიკის რომელი სახეობები იცით?
3. რითი იმართება თანამედროვე ელექტრონული ხელსაწყოები?
4. რატომ არის მოსახერხებელი დისტანციური მართვის უნივერსალური პულტის გამოყენება?



## მოვამსახუროთ საკუთარ თავს, დავიცვათ ჩვენი ჯანმრთელობა და მცენარეები

რას ნიშნავს თვითმომსახურება?

როგორი სამუშაოების ჩატარებაა ამ დროს მნიშვნელოვანი?



ჩამოთვალეთ თვითმომსახურების წესები და თქვით, როგორი თანამიმდევრობით უნდა სრულდებოდეს ისინი.

1. რა უნდა გავაკეთოთ დილით ლოგინიდან ადგომის შემდეგ?
2. რატომ უნდა დავკავდეთ სპორტით?
3. რა დანიშნულება აქვს ფეხსაცმელს?
4. რა შედის თვითმომსახურების მცირე სამუშაოებში?
5. რატომ არის საჭირო სწორი კვება?
6. როგორ შეიძლება შევინარჩუნოთ სისუფთავე ოთახში?
7. რას უნდა მივაქციოთ ყურადღება პირის დაბანისას?
8. როგორ უნდა გავიხეხოთ კბილები?
9. როდის იბანენ ხელებს და ფეხებს?
10. რა უნდა გავაკეთოთ პირის დაბანის შემდეგ?
11. რა იცით ფრჩხილების მოვლის შესახებ?
12. რა არის მიკრობი?
13. რისთვის არის საჭირო ამ წესების დაცვა?
14. რა იცით ბუნებაში მცენარეთა როლის შესახებ?
15. რისთვის ზრდის ადამიანი მცენარეებს?
16. მცენარეების რომელი სასარგებლო თვისებები იცით?
17. რომელ ხილსა და ბოსტნეულს იყენებთ ყოველდღიურად? რატომ?
18. რა იცით მცენარეთა სახეობების შესახებ?
19. რისი თქმა შეგძლიათ დეკორატიულ მცენარეებზე?
20. ნაყოფის მომტანი მცენარეების რომელი სახეობებია თქვენთვის ცნობილი?
21. ბოსტნეულის რომელი სახეობები იცით?



გვიამბეთ ბოსტნეულზე და მის როლზე ჯანმრთელობის შენარჩუნებაში.

## სადილის სუფრები და გათი სერვირება



დამოკიდებულია თუ არა ადამიანის მაღა სუფრისა და კერძების სერვირებაზე?  
სუფრის სერვირების რომელ წესებს იცნობთ?

რომელი კერძების მომზადების წესები იცით?

### ადამიანის კვება

სწორი კვება და ადამიანის ჯანმრთელობა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. გემრიელი საჭმელი ადამიანს სიამოვნებას ანიჭებს. სუფრით მთავრდება მრავალი საზემო ცერემონია, დღესასწაული, ქორწილი, იუბილე. საკვების ესთეტიკური სახე, მისი სუნი, გემო ადამიანში იწვევს ჭამის სურვილს ანუ მადას უხსნის. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია სუფრის გარეგნული სახე, მისი გაფორმება.

ჯანმრთელი კვების ძირითადი კანონები – ეს არის მრავალფეროვნება, ზომიერება და რეჟიმი\*. ხშირი გამეორებისას ყველაზე გემრიელი კერძიც კი ბეზრდება ადამიანს და ორგანიზმი მას ცუდად ითვისებს.

საკვებთან ერთად ადამიანის ორგანიზმში შედის აუცილებელი ვიტამინები, წყალი, ცხიმები, ცილები და ნახშირწყლები.

ბავშვის კვება განსხვავდება მოზრდილი ადამიანების კვებისგან. სწორი განვითარებისა და ზრდისთვის ბავშვებს სჭირდებათ უფრო ხშირი და მრავალფეროვანი კვება, ვიდრე მოზრდილებს. მათ რაციონში\*\* აუცილებლად უნდა შედიოდეს ხილი და ბოსტნეული.



დღეში რამდენჯერ ჭამენ მოზრდილები და რამდენჯერ ბავშვები?  
რატომ ჭამენ ბავშვები უფრო ხშირად?

შუალედები საკვების მიღებებს შორის უნდა იყოს არანაკლებ 5-6 საათისა, უნდა ივახშმოთ დაძინებამდე არა უგვიანეს 2 საათისა.

ვახშმის მენიუ\*\*\* ჩვეულებრივ შედგება მსუბუქი უცხიმო ხაჭოს, ბოსტნეულის და ბურლულეულის კერძებისგან. საუზმის, სადილის და ვახშმის მენიუ იცვლება სეზონისა და ოჯახის ბიუჯეტის მიხედვით.

### კერძების გაფორმება

სუფრაზე მიტანის წინ კერძებს აფორმებენ (რთავენ). ამისათვის იყენებენ სხვადასხვა ხილს და ბოსტნეულს. მორთულობა უნდა იჭმებოდეს. მორთულობის დასამზადებლად აუცილებელია კულინარიული ინსტრუმენტები – დანები და სპეციალური მაკრატლები. ამასთან უნდა გვახსოვდეს შემდეგი წესები:

- კერძი და მორთულობა უნდა ეხამებოდეს ერთმანეთს გემოთ;
- მორთულობები მარტივად დასამზადებელი უნდა იყოს – მორთულობის ელემენტები უნდა ქმნიდნენ კომპოზიციას;

\* რეჟიმი – ზუსტად დადგენილი განაწესი

\*\* რაციონი – საკვების რაოდენობა და ნორმა

\*\*\* მენიუ – კერძების ჩამონათვალი

მორთულობის შესრულება გულმოდგინედ (ფაქიზად) უნდა მოხდეს.

მორთულობის შესაქმნელად უმი ბოსტნეულის გამოყენება სჯობს: სტაფილო, თალგამი, ჭარხალი, რადგანაც მოხარშვისას ისინი რბილდებიან და მათი დამუშავება მოუხერხებელი ხდება. გარდა ამისა, მოხარშული მორთულობა ლამაზია, მაგრამ უგემური.




თალგამისგან შეიძლება თეთრი ყვავილები გამოიჭრას, უმი ჭარხლისაგან – წითელი. სალათის ფოთლები, პრასი, დაფნის ფოთოლი, კიტრის ქერქი გამოდგება ყვავილების ღეროებისა და ფოთლების დასამზადებლად.

შესაძლებელია პროდუქტების საწყისი ფერის შეცვლა. ამისათვის იყენებენ ნატურალურ სალებავებს – ჭარხლის წვენს, ზაფრანას. თუ მაიონეზს და კეტჩუპს შეურევთ ერთმანეთს, მიიღებთ ნარინჯისფერ სოუსს. ნიახურის წვენი მაიონეზს მწვანედ შეაფერადებს.




დაათვალიერეთ ნახატები, შეადგინეთ სამუშაოს გეგმა. ამ გეგმის მიხედვით გააკეთეთ მოსართავები კერძებისათვის.



კვერცხისაგან გაკეთებული კურდღლებით და სოკოებით ნებისმიერი სუფრის დამშვენებას შეძლება.



ლიმონისაგან დამზადებული პეპლები ტორტს ბუნებრივ სახეს მისცემს.:



დესერტი „კიბორჩხალა“ ვაშლის, ხურტკმელისა და მოცხარისგან



„ნოვრუზის“ დღესასწაულისთვის კვერცხები შეიძლება სხვადასხვანაირად მოირთოს.



### კითხვები



- რისთვის არის საჭირო კერძების გაფორმება?
- როგორ უნდა შევარჩიოთ ხილი და ბოსტნეული კერძების გასაფორმებლად?
- როგორი მოსართავის გაკეთება გსურთ?
- ნაჩვენებ მოსართავებში რატომ არის ამორჩეული ზუსტად ეს ხილი და ბოსტნეული?



სახლში დაეხმარეთ დედას სუფრის გაწყობაში. მოიფიქრეთ კერძების მორთვის უფრო ლამაზი ვარიანტები.

## სუფრის გაცყობა სტუმრებისათვის და დღესასწაულებზე



როგორ გავშალოთ სუფრა სტუმრებისათვის?

რას უნდა მივაქციოთ ყურადღება სუფრის სერვირებისას?

ჩვენი ხალხი განთქმულია სტუმართმოყვარეობით. სტუმრების მიღება ყოველი ოჯახისათვის სიხარულია.

სხვადასხვა ხალხები სხვადასხვანაირად ღებულობენ სტუმრებს. მაგალითად, ინგლისის სახლებში, ჩვენგან განსხვავებით, მიღებული არ არის უხვი სუფრის გაშლა. ჩვენი საზომით რომ მივუდგეთ, ინგლისელები კმაყოფილდებიან ძალზე იაფი სადილით, ანუ ტკბილეულით და ყავით. მათ მიაჩნიათ, რომ სტუმრად საინტერესო და პატივცემულ ადამიანებთან ურთიერთობისთვის მიღიან. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარად სტუმრების მიღება ძალზე სარფიანი და მისაღებია. ოჯახის ბიუჯეტის ხარჯვას სტუმრების მიღებაზე აზრი არა აქვს. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია მეგობრებთან შეხვედრა არა თვეში ერთხელ, არამედ გაცილებით უფრო ხშირად. გარდა ამისა, უამრავი მოსამზადებელი სამუშაოებისაგან განთავისუფლებული დიასახლისი მეტ დროს დაუთმობს სტუმრებს და მათთან ურთიერთობას.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, წელიწადში ერთხელ მაინც გვიწევს სტუმრების მიღება. მიღების დროს დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ სუფრის სერვირებას, სტუმრების საზეიმო მიღებას და განთავსებას.



ყურადღებით დაათვალიერეთ სურათები და ყურადღება მიაქციეთ სუფრის სერვირებას.



თავიდან მაგიდაზე იდება შედარებით დიდი და ბრტყელი თეფში, მასზე – პატარა თეფში ცივი კერძებისათვის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებულია სუფრაზე წვნიანის (პირველი კერძი, სუპი) მიტანა – ღრმა თეფშიც.

ყოველი თევზის მარჯვენა მხარეს დებენ კოვზს და დანას, თუ გათვალისწინებულია სუფრაზე თევზის მიტანა – პატარა დანასაც. თევზილან მარცხნივ იდება სუფრის ჩანგალი, ხოლო მის გვერდით – ჩანგალითევზისთვის.

ამის შემდეგ სუფრაზე დგავენ ბოკალებს წყლისთვის და ხილის წვენებისთვის. რამდენიმე ადგილას იდება ცარიელი თევზები ძვლებისა და საჭმლის ნარჩენებისათვის. სუფთა დაუთოვებული და დაკეცილი ხელსახოცები უნდა იდოს ჩანგლებიდან მარცხნივ.

ნაჭრებად დაჭრილი პური შემოაქვთ თევზებზე დაწყობილი სახით. პურის თევზებზე დაფენილი უნდა იყოს თეთრი გაუთოვებული ხელსახოცები. პურის შემოტანა უნდა მოხდეს მას მერე, რაც სტუმრები დასხდებიან მაგიდასთან. მოშორებით იდგმება პატარა მაგიდა, რომელზეც აწყვია ზედმეტი თევზები და სხვა ჭურჭელი. აქვე შეიძლება დაიდოს ხილი და ტკბილეული.

კერძი სუფრაზე შემოაქვთ დიდი ჭურჭლით. სტუმრების მცირე რაოდენობის შემთხვევაში დიასახლისი თვითონ ჩამოარიგებს მას და პირველ რიგში მიართმევს ხანდაზმულ ქალბატონებს, ხოლო შემდგომ მამაკაცებს. ხოლო თუ სტუმრები ბევრნი არიან – მამაკაცები ქალბატონებს (ქალებს) გადაუღებენ საჭმელს თევზზე (მამაკაცები ემსახურებიან ქალბატონებს).



სუფრის ჩვეულებრივი სერვირება სტუმრებისთვის.

მას შემდეგ, რაც ყველას მიართვეს საჭმელი, ირჩევენ თამადას. ის მართავს დღესასწაულს (მიღებას). თუ ის შეექცევა საჭმელს – შეექცევიან სხვებიც. თუ მიღებაზე ბევრი სტუმარია, მაშინ აუცილებელი არ არის დაელოდო, სანამ ყველას მოემსახურებიან.



### სადლესასწაულო სუფრის ჩვეულებრივი სერვირება

პირველი კერძი შემოაქვთ ღრმა თევზებში. სუპს ჭამენ კოვზით, ამასთან მარცხენა მხრიდან ფრთხილად აკავებენ თევზის კიდეს.

არ შეიძლება სული შეუბერო კოვზს ან თევზს, რათა გააგრილო საჭმელი. ამისათვის მას ფრთხილად უნდა მოურიო. ამის მერე იშლება ჩაის სუფრა. ჩვეულებრივ, ჩაის სუფრაზე ჩაის გარდა შეიძლება იყოს მურაბა, კანფეტი, ტორტი და ნამცხვარი.



სუფრის სერვირება  
ნოვრუზის დღესასწაულზე



ტკბილეული ნოვრუზის  
დღესასწაულზე



### კითხვები



1. რომელი მოწყობილობები გამოიყენება სტუმრებისათვის სუფრის სერვირებისას?
2. რომელი კერძების მიტანაა მიზანშეწონილი სტუმრების მიღებისას ჩვეულებრივად სერვირებულ სუფრაზე?
3. რა განსხვავებაა სადღესასწაულო სუფრასა და სტუმრებისთვის გაშლილ სუფრას შორის?
4. როგორ ხდება სადღესასწაულო ჩაის სუფრის სერვირება?



გვიამბეთ სუფრის სერვირებისა და ვახშამზე დაპატიჟებული სტუმრების მიღების შესახებ.

## საზოლის სუვრასთან ეცვის წესები

ოჯახის ყველა წევრის ერთმანეთისა და სტუმრების მიმართ კეთილგანწყობილი ურთიერთობები, სუვრასთან სწორად ჭამის და მოქცევის ცოდნა – ეს სახლის კულტურის მაჩვენებელია!

თქვენ, ალბათ, მონაწილეობთ სხვადასხვა მიღებებში ოჯახში და საზოგადოებაში (დაბადების დღეები, სხვადასხვა ზეიმები, საქორწინო დღესასწაულები და ა. შ.). ამ შემთხვევაში თქვენ უნდა დაიცვათ მაგიდასთან ქცევისა და საკვების მიღების წესები. საერთო მიღებული წესების მიხედვით სტუმრები მაგიდას უნდა მიუსხდნენ მხოლოდ მასპინძლის შემდეგ.

1. მაგიდასთან უნდა იჯდეთ სწორად, არ შეიძლება მაგიდაზე დაყრდნობა.
2. არ შეიძლება იდაყვების ფართოდ გაშლა საკვების მიღების დროს. ეს ხელს უშლის თქვენს მეზობლად მჯდომს.



1



2

3. არ შეიძლება საჭმლის ჭამა დანიდან. ეს ეწინააღმდეგება ქცევის (კულტურის) წესებს და უსაფრთხო არ არის – შეიძლება დაიზიანოთ ენა და ტუჩები.
4. არ შეიძლება ხელის გაშვერა კერძებისა და პურისაკენ, რომლებიც განლაგებულია თქვენგან მომორებით, მეზობლის თევზის გადაღმა. უნდა სთხოვოთ თქვენს მეზობელს, რათა მან გადმოგაწოდოთ ისინი.



3



4

5. საკვების მიღებამდე საჭიროა მუხლებზე დაიფინოთ ნაჭრის ხელსახოცი, ხოლო შემდეგ – დაკეცოთ და ისევ მაგიდაზე დადოთ ის.
6. კატლეტებს, გუფთას, თევზს, მოხარშულ ბოსტნეულს, როგორც წესი, დანით არ ჭრიან, ანაწევრებენ ჩანგლით პატარა ნაჭრებად და ასე ჭამენ. ამ შემთხვევაში ჩანგლი მარჯვენა ხელში უჭირავთ.




5



6

7. თუ შემოტანილია კერძი, რომლის გაჭრა არის აუცილებელი (მაგალითად ხორცის ნაჭერი), მაშინ დანა უნდა დაიკავოთ მარჯვენა, ხოლო ჩანგალი – მარცხენა ხელში. თუ თქვენ ჭრით საჭმელს, ჩანგალი უნდა გეჭიროთ თევზის მიმართ არა პერპენდიკულარულად, არამედ დახრილად, წინააღმდეგ შემთვევაში ჩანგალი შეიძლება ასხლტეს თევზის გლუვ ზედაპირზე და მასზე მოთავსებული საჭმელი მიმოიფანტოს სუფრაზე.
8. ხორცი და სხვა კერძები უნდა გაიჭრას დანით თანდათანობით, პატარა ნაჭრებად, ჩამოჭრილი ნაწილების მოხმარებისდა მიხედვით.



7



8

9. არ შეიძლება საერთო თევზიდან საჭმლის აღება თქვენი ჩანგლით. ასეთი საჭმელისთვის მოიტანენ სპეციალურ მოწყობილობას. ისინი ჩვეულებრივ განსხვავდებიან თავისი ზომითა და ფორმით.
10. საჭმელი უნდა ჭამოთ ჩუმად, უხმაუროდ, აუჩქარებლად. სუპის ჭამისას არ შეიძლება თევზის თქვენკენ დახრა, რათა არ დაღვაროთ ის სუფრაზე და ზედარ გადაისხათ.
11. არ ეცადოთ პირველმა გაიშვიროთ ხელი ახლად მოტანილი საჭმლისაკენ. ჯერ მიაქციეთ ყურადღება იმას, ყველას შეხვდება ეს საჭმელი, თუ არა. იყავით ყურადღებიანი. პირველ რიგში სხვაზე იფიქრეთ.
12. საჭმელის მიღების შემდეგ ჩანგალი, დანა, კოვზი და გამოყენებული ხელსახოცი დადეთ თევზმზე დაარა სუფრაზე.
13. თუ ჭამის დროს რაღაც გაგეჭედათ კბილებს შორის, მათი გაწმენდა სუფრასთან არ შეიძლება. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია ადგეთ სუფრიდან, გახვიდეთ სააპაზანო ოთახში და კბილის საწმენდი ჩხირის ან კბილის საწმენდი ძაფის გამოყენებით გაიწმინდოთ ისინი, შემდეგ კი პირი გამოივლოთ წყლით.

### კითხვები





- ქცევის რომელი წესებით სარგებლობენ სუფრასთან?
- რა არის მაგიდასთან ქცევის წესების დაცვის მიზანი?



## ყდიანი ნაკათობები. თხელი რვეული



რაიცით ნახატზე გამოსახული ნაკეთობების შესახებ?



წიგნის, რვეულის, ბლოკნოტის გარეკანს ყდა ეწოდება.

ალბათ ყველას გაგიგონიათ ფრაზა „სქელყდიანი წიგნი“.

წიგნის, რვეულის, ბლოკნოტის ფურცლების შეერთებას ერთიან ყდაში აკინძვა ეწოდება.

ყდა შეიძლება გარედან მოირთოს ფერადი ქალალდებით ან ნაჭრით.



რვეულის გარეკანი წარმოადგენს ორად მოკეცილ ქალალდის ფურცელს. ბლოკნოტის გარეკანის უკანა ნაწილი შედგება მკვრივი მუყაოსაგან, ხოლო წინა ნაწილი - ქალალდისაგან.



როგორია აქ ნაჩვენები წიგნის ყდა?

საკაზმავი საფარი – ეს არის წიგნის გადასაკრავი თუ ფურცლებს საკაზმავ საფარს წამოაცმევენ მაშინ ფურცლები არ გაიცრიცება, დარჩება სუფთადა აკურატული.

საკაზმავი საფარის მარცხენა და მარჯვენა მუყაოს ნაწილებს ეწოდება მხარეები, ხოლო შუაში განლაგებულ ზოლს – ყუა. არსებობს სწორი და მრგვალი ყუა.




ჯერ საჭიროა მუყაოს მხარეების შეერთება ყუათი, ხოლო შემდეგ თითოეულ მათგანს უნდა გადაეკრას ფერადი ქალალდი.

ზოგჯერ კი პირდაპირ იღებენ დიდ მუყაოს ერთდღროულად ორივე მხარისათვის და ზედ გადააკრავენ ერთ საერთო ფურცელს. საქალალდეს გასა-კეთებლად მუყაოს გადააკრავენ ქალალდს შიგნიდანაც და გარედანაც.



შემდეგ როგორ უნდა მოვკეცოთ ის?




ვინაიდან მუყაო სქელია, გაჩნდება ბზარები. ამიტომ გადაკეცვის ოპერაციას ვასრულებთ გადაკეცვის ხაზზე სახაზავის დადებით.

ამ ახალ ტექნოლოგიურ ოპერაციას ეწოდება ბიგირება.

მოვნიშნოთ დეტალები.



უჯრედებიანი ქალალდის მონიშვნა სულ ადვილია. დავსვათ წერტილები თავსა და ბოლოში და მხოლოდ მერე მოვჭრათ პირდაპირ უჯრედების მიხედვით.

რვეულის აკინძვაც ძალიან ადვილია. ამისათვის გავხვრითოთ ყველა ფურცელი. ვინაიდან ქალალდი წარმოადგენს მაგარ და მკვრივ მასალას, მას სადგისით ხვრეტენ. ნემსი კი მხოლოდ ძაფის გაყრაში გვეხმარება.




### რვეულის დაგზადება

1. დავდოთ სამუშაო მაგიდაზე ყველა მასალა და ინსტრუმენტი.




2. ყველა ფურცელი ჩავდოთ გარეკანში.



3. მახათით/სადგისით გავხვრიტოთ სამი ნახვ-რეტი გადაკეცვის ხაზზე.

4. ნემსის დახმარებით ნახვრეტებში გავუყაროთ ძაფი.



5. ბოლოში გავკვანძოთ.



დაამზადეთ თხელი რვეული მითითებული თანამიმდევრობით.

### პითავები



1. რისთვის არის საჭირო წიგნი, რვეული და ბლოკნოტი?
2. რა არის ყდა?
3. რა შეგიძლიათ თქვათ ყუას და საკაზმავი საფარის მხარეების შესახებ?
4. როგორ კეთდება ბიგირება?
5. რა უნდა გაკეთდეს რვეულის ასაკინძად?



დაამზადეთ სურათზე გამოსახული ბლოკნოტი.



## ჩარჩო სამხატვრო ნამუშევრებისათვის

თქვენთვის ცნობილია ქაღალდის ფურცლის ფორმატები.





რა პრინციპით არიან ისინი შექმნილი?

როგორი ფორმატისაა თქვენი ფერადი ქაღალდი, მუყაო, სახატავი ალბომი, ქაღალდი აკვარელისათვის?

თქვენ შეგიძლიათ ტექნოლოგიისა და სახვითი ხელოვნების გაკვეთილებზე დახატული სურათები, მათ შორის თქვენ მიერ შექმნილი აპლიკაციები, ლამაზ ჩარჩოში ჩასვათ და კედელზე ჩამოკიდოთ.

### მკვრივი ქაღალდის ჩარჩო

ეს ჩარჩო განკუთვნილია A4 ფორმატის, ან უფრო მცირე ზომის ნახატებისათვის.




ამოაბრუნეთ ჩარჩოსათვის გამიზნული ქაღალდის ფურცელი უკანა პირით ზემოთ, მოათავსეთ თქვენს მიერ დახატული სურათი ფურცლის ცენტრში და შემოხაზეთ მცირე ზომის ფურცელი ნაპირებზე. სიზუსტისათვის სურათის ადგილმდებარეობა შეგიძლიათ წინასწარ გამოთვალით.




რა სახის გაზომვებია ამი-  
სათვის საჭირო?  
დააკვირდით ნახაზს.




რომელ ხაზებს ხე-  
დავთ ნახაზზე?



დახაზეთ ისინი თქვენს ფურცელზე.  
შეასრულეთ შემდეგი ნახაზი




შეასრულეთ ტვიფრვა მოკეცვის ხაზებზე (კალმით სახაზავის გასწვრივ) და შემდეგ გაჭერით ხაზებზე.



ახლა კი შეიძლება ნამუშევრის ჩარჩოში ჩასმა.



რა უნდა გავაკეთოთ, თუ თქვენს ნაკეთობას მომრგვალებული ფორმა აქვს?



### პითხვები



1. რა არის ქაღალდის ფორმატი?
2. ქაღალდის როგორი ფორმატებია თქვენთვის ცნობილი?
3. ჩარჩოს დასამზადებლად მკვრივი ქაღალდის როგორი ფორმატი უნდა გამოიყენოთ?



დაამზადეთ ჩარჩო ფოტოსურათისათვის.

## ფანერების ჩასაცყობის დამზადება მუსაოსაგან



სად და როგორ ინახავთ თქვენს კალმებს, ფანერებს და ფუნჯებს?  
შეგიძლიათ ამ საგნებისათვის მოხერხებული და ლამაზი ჩასაწყობის  
დამზადება?



რა შეგიძლიათ თქვათ ნახატზე ნაჩვენები ფანერების  
ჩასაწყობების ფორმაზე?

როგორი დეტალებისაგან არის აწყობილი თითოეული ნაკეთობა?

როგორ არის შეერთებული დეტალები თითოეულ ნაკეთობაში?

შეერთების კიდევ როგორი ხერხები შეიძლება გამოვიყენოთ ასეთი  
ნაკეთობების დასამზადებლად?

რაშია ამ ნაკეთობების კონსტრუქციის თავისებურებები?

რა მასალისგან არის დამზადებული ფანერების ჩასაწყობები? კიდევ რისგან  
შეიძლება მათი დამზადება?

### კუბის და პარალელეპიპედის განშლა



რა არის განშლა?

რომელი გეომეტრიული სხეულები იცით?


რა ნაწილებისაგან შედგებიან ისინი?

როგორი ხაზები გამოიყენება განშლის ასაგებად? რა დანიშნულება აქვთ  
მათ?

კუბის ან პარალელეპიპედის განშლა – ბრტყელი ფიგურაა.

იმისათვის, რომ ავაგოთ კუბის ან პარალელეპიპედის განშლა აუცილებელია  
გავიხსენოთ, რომელი კონსტრუქციული ელემენტებისაგან შედგება ეს  
გეომეტრიული სხეულები.

რომელი ინსტრუმენტებია საჭირო ნაკეთობის ნაწილებისა და დეტალების  
მონიშვნის, დამზადებისა და აწყობისათვის?




კუბი


პარალელეპიპედი



აჩვენეთ ნახატზე კუბისა და პარალელეპიპედის წვერები, წახნაგებიდან წიპოები.

კარგად დაათვალიერეთ კუბი და პარალელეპიპედი ყველა მხრიდან. ის, რასაც ხედავთ შეიძლება გამოსახოთ უჯრედებიან ქაღალდზე ასეთნაირად:





### პარალელეპიპედი



**ხედი** – ეს არის საგნის ნაწილების (მხარეების) გამოსახულება, რომელსაც ხედავს დამკვირვებელი.

**ნახაზი** – ეს არის საგნების გამოსახულება, შესრულებული მათი ზომების მითითებით.


რაოდენობის მიხედვით ნახაზზე იმდენი ხედი უნდა იყოს, რომ მათ სრულად აჩვენონ საგნის კონსტრუქცია და ზომები. ჩვეულებრივ გამოსახავენ საგნის სამ ხედს. ყოველ ხედს ნახაზზე აქვს თავისი განსაზღვრული ადგილი.

იმისათვის, რომ დავხაზოთ კუბის და პარალელეპიპედის განშლა, საჭიროა ამ სხეულების ექვსივე მხარის (ხედის) გამოსახვა.


**ტექნიკური ნახატი** გამოსახავს საგანს მოცულობაში.



როგორი ბრტყელი გეომეტრიული ფიგურებისაგან შედგება კუბი და პარალელეპიპედი?



კუბის განშლა



### პარალელეპიპედის განშლა



რომელი ზომების ცოდნაა აუცილებელი, რათა ავაგოთ კუბის განშლა, და რომელი ზომებისა – პარალელეპიპედის განშლის ასაგებად?

რა მასალები, ინსტრუმენტები და მოწყობილობები დაგჭირდებათ სამუშაო შესასრულებლად? დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.

### პითევები



1. რა არის კუბისა და პარალელეპიპედის განშლა?
2. რომელი კონსტრუქციული ელემენტებისაგან შედგებიან ეს სხეულები?
3. რა არის ხედი?
4. რა არის ნახაზი?



დამოუკიდებლად დაამზადეთ კუბის მოდელი. თუ ზედა ხუფზე გამოჭრით 3 სმ დიამეტრის წრეს, მაშინ კუბი გადაიქცევა ფანქრების ჩასაწყობად.

## ზარდახშა ცვრილმანებისათვის





სად ინახავთ სახლში ყოველგვარ წვრილმანს?

წვრილმანის შენახვა მოსახერხებელია სპეციალურ კოლოფში, ზარდახშაში წვრილმანებისათვის.



ყურადღებით დაათვალიერეთ სურათები.

შევძლებთ კი ასეთი ზარდახშის გაკეთებას? იმისათვის, რომ ზარდახშა გავაკეთოთ, მას ქსოვილი უნდა შემოვაკრათ.



როგორ უნდა შემოვაკრათ ქსოვილი ყუთს? შესაძლოა კი სასურველი შედეგის მიღება, თუ ქსოვილს წებოს წავუსვამთ და ზარდახშას შემოვაკრავთ? თუ წებოს ქსოვილს წავუსვამთ, ის მაშინვე მთლიანად დასველდება და ყველა მხარეს გაწელვას დაიწყებს.






ესე იგი წებო თვითონ ყუთს უნდა წავუსვათ და უკვე მას მივაკრათ მშრალი ქსოვილის თარგები.



და როგორ უნდა მოვნიშნოთ ქსოვილის ეს თარგები?

ქსოვილის რამდენი ნაჭერია საჭირო ყუთზე შემოსაკრავად? დავაკვირდეთ კოლოფს.




რა თქმა უნდა, ქსოვილი საჭიროა ოთხი კედლის, ძირისა და ხუფისათვის.




ჯერ მოდი დავფიქრდეთ, კოლოფის რომელ ადგილებში საერთოდ არ დაგვჭირდება ქსოვილი? აი, მაგალითად, არც ერთ გადანაკეცზე არ იქნება საჭირო ქსოვილის შემოკვრა.

**გადანაკეცი** – ეს არის ზედმეტი ნაწილი წებოს წასასმელად.


1



2




3



იმისათვის, რომ ქსოვილი ადგილად გამოვჭრათ და დავაწებოთ, მისი თარგი უნდა დავჭრათ ნაწილებად.



თუ კოლოფს არ გავშლით, ქსოვილზე თარგის მონიშვნა გაგვიჭირდება. მთლიან თარგს მონიშნავენ გაშლის ადგილის მიხედვით.



იმისათვის, რომ ქსოვილზე მუშაობა უფრო ადვილი იყოს, თარგი ან მთლიანი ქსოვილი (1) უნდა დაიჭრას ნაწილებად (2, 3).



გააკეთეთ ზარდახშა წვრილმანებისათვის.


### პითხვები







- რა არის საჭირო ზარდახშის გასაკეთებლად?
- რამდენი დეტალი აქვს ზარდახშას?
- რატომ არ არის რეკომენდებული ქსოვილზე წებოს წასმა?
- რატომ ტოვებენ გადანაკეცს კოლოფის განშლაში?



გააკეთეთ სურათზე გამოსახული ჩანთა ტკბილეულისათვის.





## ორიგამის სეიმი





მოკეცვა „ველის“ სახით



მოკეცვა „მთის“ სახით



გადაკეცვა  
(მოკეცვა-გასწორება)





გადაკეცვა მეორე მხარეს



შიგნით ჩაკეცვა

ერთიმეორეში ჩასმა



დახვევა

→  
გაზრდა

→  
ჩაჭრა


→  
დაჭრა

→  
გახსნა,  
გაბრტყელება


→  
გამეორება უკნიდან ან  
გვერდიდან იმდენჯერ,  
რამდენი ხაზიცაა  
მითითებული ისარზე

## საბაზო ფორმები


„ორმაგი კვადრატი“




1




2




3



„კატამარანი“



„კვირტი“. დაიწყეთ საბაზო ფორმიდან „ორმაგი კვადრატი“.




პითავები



1. როგორი ნაკეთობები დაგიმზადებიათ I-III კლასებში ორიგამის მეთოდის გამოყენებით?
2. ორიგამის რომელი სქემებია თქვენთვის ცნობილი?
3. რომელი საბაზო ფორმის გამოყენებაა საჭირო „კვირტის“ გასაკეთებლად?




გააკეთეთ კატამარანი ორიგამის მეთოდით.



## ქალალდის ქუდეპი

დიდი ზომის ქალალდის დაკეცვით შიძლება მივიღოთ საკარნავალო ქუდები ან ცხელ ამინდში მზისგან დამცავი კეპები.




### ქალალდის ფურცლის სტანდარტული ზომები

ნაკეთობის დაკეცვა შეიძლება გაზიეთის ფურცლისგან, ფერადი, თეთრი, A1 ფორმატის შპალერის ქალალდისგან. ჯერ წაივარჯიშეთ A4 ფორმატის ფერად ქალალდზე.






დაათვალიერეთ შემდეგ გვერდზე ნაჩვენები ქუდები. ყველა ეს ქუდი შესრულებულია ერთი ძირითადი სქემის მიხედვით, ბოლო ეტაპზე ზოგიერთი ცვლილების შეტანით.



მე-9 ეტაპზე მონიშნული ბოლო ჩაკეცეთ შიგნით ორი მართვულხა შვერილის უკან. გადააბრუნეთ მოდელი და მიიღებთ წაწვეტებულ ქუდს. მასზე შეგიძლიათ დაახატოთ ან დააწებოთ დეკორატიული ელემენტები.


ალბათ, ყველას გინახავთ მულტიპლიკაციური ფილმი „ოქროს გასაღები“. ამ მულტფილმის გმირის ბურატინოს ქუდის დასამზადებლად საჭიროა ძირითადი სქემის 1-10 ეტაპების თანამიმდევრულად შესრულება.




შემდეგ შეასრულეთ ეტაპები 11, 12 და 13. ჩაღუნეთ შიგნით გვერდითა ნაწილები ისე, რომ არ შეეხოთ გადანაკეც ზოლებს.

**პილოტურა.** შეასრულეთ ძირითადი სქემის 1-10 ეტაპები.



შემდეგ გააგრძელეთ 11-12 ეტაპებით.



12






**ექიმის ქუდი.** ჯერ შეასრულეთ „პილოტურა“-ს მოდელის ყველა ოპერაცია, ხოლო შემდეგ გააგრძელეთ ოპერაციები.



დააჭირეთ კუთხეებს და ჩაატანეთ ისინი გადანაკეცებში.

**კეპი.** შეასრულეთ ძირითადი სქემის 1-7 ეტაპები.



მე-10 ეტაპზე უკნისკენ გადაკეცეთ ქუდის ზედა ბოლო და ჩაატანეთ ის გადანაკეცში.

### პითევები



1. რამდენი სტანდარტული ზომა აქვს ქალალდის ფურცელს?
2. ქუდის რომელი სახეობები იცით?
3. რა წარმოადგენს თქვენს მიერ ჩამოთვლილი ქუდების სახეობების საფუძველს?



გააკეთე ექიმის ქუდი და კეპი.

## ორნამენტები



გეცნობათ სიტყვა „ორნამენტი“?  
რა შეგიძლიათ თქვათ ორნამენტის შესახებ?

**ორნამენტი** – ეს არის მოხატულობა, რომელიც შედგება ტანსაცმლის, კერამიკის და სხვა ყოფითი საგნების მოსართავი რიტმულად მოწესრიგებული ელემენტებისგან. ორნამენტის ხელოვნება თავისი ფესვებით უხსოვარ დროში მიდის. ძველებურ ლარნაკებზე და დოქებზე შეიძლება ვიხილოთ მარტივი, განმეორებადი მოხატულობა. მაგრამ, ეს უბრალო ნახატები კი არა, არამედ თანამედროვეთათვის გასაგები სიმბოლოები, ნიშნები იყო. მოხატულობაზე გამოსახული წრე – მზის ნიშანია. დატალლული ხაზი – წყალი. დროთა განმავლობაში მოხატულობა გართულდა, დაკარგა თავისი მაგიური არსი და მორთულობად იქცა.



იპოვეთ ორნამენტი ნაკეთობებზე.



**მეთუნეობის, საიუველირო და საქსოვი ხელობის ნაკეთობების ნიმუშები**

**ორნამენტების აგების ხერხები**

**რიტმული გამეორება.** თუ საფუძვლად ავიღებთ რაიმე ფიგურას, მაშინ ორნამენტული რიგის შექმნის უმარტივესი ხერხია მისი კოპირება და მონაცვლეობა ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად, თანაბრად ან სხვა განსაზღვრული თანამიმდევრობით.






ფიგურის განმეორება ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად ქმნის მრავალრიგიან ორნამენტს. ამასთან წარმოქმნილი შუალედები შეიძლება შევავსოთ სხვა ფიგურებით.



როგორ შეიძლება გამოჭრათ რამდენიმე ერთნაირი ელემენტი ფერადი ქაღალდისგან ასეთი ორნამენტების შესაქმნელად?


**სარკისებური ანარეკლი.** დაათვალიერეთ ფიგურები.



ეს ფიგურები სიმეტრიულია მათ შორის გამავალი ღერძის მიმართ. აპლიკაციისათვის ასეთ ფიგურების გამოჭრა ხდება ორად მოკეცილი ან მრავალჯერ მოკეცილი ქაღალდისგან. სარკისებურად შეიძლება გამოისახოს ფიგურების მთელი რიგი.



როგორ შეიძლება მივიღოთ ასეთი ორნამენტები  
აპლიკაციისათვის, ერთჯერადი გამოჭრის




**მცენარეული მოტივები ორნამენტში.** **მოტივად** იწოდება კომპოზიციის ძირითადი მრავალჯერ განმეორებადი ელემენტი. მცენარეული ორნამენტი იქმნება ყვავილების, ფოთლების, ტოტების, ნაყოფების გამოყენების საფუძველზე. მაგრამ ორნამენტებში გამოყენებული მათი ფორმები შესაძლოა განსხვავდებოდნენ ბუნებრივი ფორმებისგან.

აზერბაიჯანული ხალხური ორნამენტი „ბუტა“ – მშობლიური კულტურის ნაწილია.



არსებობს ორნამენტის სხვა სახეობებიც. თუ ქაღალდს ორად მოვკეცავთ, მივიღებთ ასეთ ორნამენტს.



თუ ზოლს მოვკეცავთ ორჯერ გრძივად და ერთხელ განივად, ხვეული ხაზებისგან მივიღებთ შეწყვილებულ გულებს.



გადაიტანეთ ნახატი კალ-  
კაზე პირდაპირ სახელმძღვა-  
ნელოს გვერდიდან ან გაა-  
კეთეთ ესკიზი დამოუკიდებ-  
ლად.





როგორ უნდა დავკეცოთ ქალალდი და როგორი მოტივი უნდა დავხატოთ, რომ მივიღოთ ეს ორნამენტი?

რომელი ნაკეთობის მორთვა შეიძლება ასეთი ორნამენტებით?

**პრუნვის პრინციპი.** შერჩეულ ფიგურას აბრუნებენ გარკვეული ცენტრის მიმართ, რომელიც შეიძლება მდებარეობდეს ფიგურის ბოლოზე. მათემატიკაში ამას ცენტრალური სიმეტრია ეწოდება.

წრიული ორნამენტის ასაგებად ძირითად ორნამენტს ისე აბრუნებენ, რომ მობრუნების ყველა კუთხე თანაბარი იყოს.

დააკვირდით, როგორ შეიძლება მომრგვალებული ორნამენტის აგება შაბლონის, ჭიკარტის, საშლელის გამოყენებით.



### კითხვები



1. რას ეწოდება ორნამენტი?
2. ორნამენტის აგების როგორი ხერხები იცით?
3. რა ეწოდება აზერბაიჯანში ყველაზე გავრცელებულ ორნამენტს?




პრუნვის პრინციპის გამოყენებით გამოჭრით და გააფერა-დეთ ორნამენტები.

## მრავალშრიანი ამოკაცვა



რას გეუბნებათ ტერმინი „მრავალშრიანი ამოკანვრა“? როგორ შეიძლება მისი შესრულება?


**მრავალშრიანი ამოკანვრა** – ეს ხელით ნამუშევარია, რომლის დროსაც იხსნება ფერით განსხვავებული ქვედა შრე. იგი ხეზე კვეთას ჰგავს. კვეთის დროს გამოიყენება მრავალი ინსტრუმენტი სხვადასხვა სისქის ღარების ამოსაკვეთად. თქვენ შეგიძლიათ დაამზადოთ უნივერსალური ინსტრუმენტი - საჭრელი იოგურტის ჭიქისგან.



წაივარჯიშეთ სხვადასხვა სისქის ღარების მიღებაში საჭრელის წანვეტებული და მომრგვალებული ბოლოს გამოყენებით.



შეიძლება ასეთი ღარების მიღება სტეკით ან წანვეტებული ხის ჩხირით? რა განსხვავება იქნება?



3



ფერად მუყაოზე დაიტანეთ პლასტილინის სამი ფენა (1), ბოლო ფენა გაასწორეთ ზემოდან დადებული ქაღალდის ქვეშ (2). დახატეთ ესკიზი და შეუდექით პლასტილინზე კვეთას.



რით განსხვავდება ყვავილებიანი ოვალური პანოს\* (3) შესრულება? საფუძვლად შეიძლება ავიღოთ მეტალიზირებული მუყაო.

### პითხები

- რით განსხვავდება მრავალშრიანი ამოკანვრა ჩაღრმავებული რელიეფისგან?
- როგორი ინსტრუმენტით არის ხელსაყრელი პლასტილინზე ღარების ამოჭრა?
- როგორ დაამზადეთ ნაკეთობა?



შეასრულეთ მრავალშრიანი ამოკანვრა პლასტილინზე.

\* პანო – ორნამენტით ან ნახატით მორთული ზედაპირი.

## ჩაღრმავებული რელიეფი



რას გეუბნებათ სიტყვა ჩაღრმავებული რელიეფი?

გამოსახულებას, რომელიც შექრილია სიბრტყის სიღრმეში ეწოდება **კონტრრელიეფი**. ინგლისურ ენაზე - ეს სიტყვა ნიშნავს „პირუკულმა“-ს. კონტრრელიეფში ნახატის ამოკანვრა ხდება სტეკით, ჩსირით ან სხვა ინსტრუმენტით. კიდევ სად შეგხვედრიათ ასეთი ტექნიკა?

ადამიანების მიერ ნანახი პირველი მსგავსი გამოსახულებები იყო ხელთუქმნელი. თვითონ ბუნებამ აღბეჭდა ქვაში მცენარეების, ცხოველების, მწერების ფრაგმენტები. ასეთი „ფოტოგრაფიები“ – ძვირფასი აღმოჩენაა მეცნიერთათვის. თქვენც სცადეთ მცენარეთა ფრაგმენტების აღბეჭდვა პლასტილინში.

ანაბეჭდებისათვის მასალების მოძიებამდე მოითიქრეთ, რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ ისინი.

როგორ შეიძლება გაფორმდეს თქვენი ნამუშევარი?

ასე გამოიყურება ნაძვის და ტუიას ტოტის ანაბეჭდები.

ამ ხერხით შეიძლება გამოისახოს ობიექტები, რომლებსაც მეტად მარტივი, ადვილად საცნობი სილუეტია აქვთ.



დადეთ საფუძველზე პლასტილინის ორი ფირფიტა (დაჭრის გარეშე) და ჩამოაჭრით ნაპირები.

მონიშნეთ ესკიზი და ჩაჭრით სტეკით ზედა ფენა. განაცალკევეთ ნახატის შიდა ნაწილი. გაასწორეთ ყველა ნაპირი და გაათანაბრეთ უსწორმასწორებები. ამისათვის გამოიყენეთ წანვეტებული სტეკი.



რატომ არის, რომ ამ ხერხში გამოიყენება პლასტილინის ფირფიტები და არ ხდება უბრალოდ მწვანე ან შავი პლასტილინის წასმა?

ამ სამუშაოში გაერთიანდა ჩვენთვის ნაცნობი ორი ხერხი. როგორ უნდა შევასრულოთ ის?

### პითაგორი



1. რას ეწოდება კონტრრელიეფი?
2. რას უნდა მივაქციოთ ყურადღება ჩაღრმავებული რელიეფის, საგნის ჩვენებისას?
3. რას გვიჩვენებს ჩაღრმავება ასეთ რელიეფში?



გააკეთეთ ჩაღრმავებული რელიეფი „ყვავილი“.


## პლასტილინის ლენტისაგან დაგზადებული კომპოზიცია

პლასტილინისაგან ლენტის დამზადება სხვადასხვა ხერხით შეიძლება: ჯერ უნდა დაბრტყელდეს ღვედი. შემდეგ ეს ღვედი გაბრტყელდეს ქალალდის ქვეშ, მიღებული ფირფიტა ცოტა გასწორდეს და დაიჭრას ზოლებად.


სცადეთ სხვადასხვა ხერხები. რომელი მოგწონთ უფრო მეტად? ქალალდის ქვეშ გაბრტყელებისას არ დაგავიწყდეთ ხშირად აიღოთ პლასტილინი ქალალდიდან და გადააბრუნოთ იგი, რათა ის ქალალდს არ მიეწებოს.



ლენტებს შეიძლება ჰქონდეთ სხვადა-  
სხვა ფორმა და სხვადასხვა ფერში იყოს  
გადაწყვეტილი. ისწავლეთ აგრეთვე 10-  
15 სმ სიგრძის ასეთი ლენტების მიღება.



თქვენ უკვე მოგიწიათ ქალალდისა და ტექსტილის ლენტებთან  
მუშაობა. გაიხსენეთ მათთან მუშაობის როგორი ხერხები იცით. ამ  
ხერხებიდან რომლების გამოყენებაა შესაძლებელი პლასტილინის  
ლენტასთან მუშაობისას?



„ზღაპრული ტყე“. გვიამბეთ რო-  
გორ არის შესრულებული ეს სამუშაო.



### პითევები



1. პლასტილინისაგან ლენტის დამზადების რომელი ხერხები იცით?
2. რატომ არის საჭირო პლასტილინის გასწორებისას მისი ხშირად გადაბრუნება?
3. რომელ რელიეფს მიეკუთვნება პლასტილინის ლენტისაგან დამზადებული ნაკეთობა?



დაამზადეთ კომპოზიცია „ზღაპრული ტყე“ ფერადი  
პლასტილინისაგან.

## ჭურჭლის დიზაინი



რა გსმენიათ ჭურჭლის დიზაინის შესახებ?

**დიზაინი** – ეს საგნების მხატვრული კონსტრუირებაა. დიზაინი წარმოიშვა XX საუკუნის დასაწყისში ისეთი ახალი ხელსაწყოების, ინსტრუმენტების, მექანიზმების საყოფაცხოვრებო საგნების გაჩენასთან დაკავშირებით, რომლებიც საჭიროებდნენ არა მარტო გაფორმებას, არამედ ერთმანეთთან შეხამებასაც. დიზაინერი საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების პროექტირებისას ზრუნავს იმაზე, რომ ეს საგნები შესრულებული იყოს ერთიან სტილში და ქმნიდნენ ანსამბლს.



წინასწარ განსაზღვრეთ დასამზადებელი ჭურჭლის ნაკრების დიზაინი. ჯერ დახატეთ მისი ელემენტები, შემდეგ კი გამოძერწეთ პლასტილინისაგან თქვენთვის ცნობილი ნებისმიერი ხერხის გამოყენებით.



დაიტანეთ პლასტილინზე  
მარტივი ნახატი. ზედაპირზე  
დააკარით ფერადი პლასტი-  
ლინის სხვადასხვა კონფიგურაციის პატარა  
ნაჭრები. შექმენით ნაკეთობა ლამაზი დი-  
ზაინით.



ასეთი ნაკრებისათვის საჭირო იქნება ორფერა ნამზადები. ზედა ფერა თეთრი, მას რელიეფური ფორმა აქვს. დადეთ ზედა-პირზე შავ-ყავისფერი ბურთულები და თითებით გადაასწორეთ.



### კითხები



1. რომელი საერთო თვისებებით ხასიათდება ჭურჭლის ამ ნიმუშების დიზაინი?
2. რომელი ხერხით შეიძლება გაკეთდეს მოხატულობა ჭურჭლის მესამე ნაკრების ნივთებზე?



დაამზადეთ პლასტილინისგან ჭურჭელი.



## ქარგვა ჯვრებით






ყურადღებით დაათვალიერეთ ნახატი.



როგორ ჯდება ლამბი ამ ნაკერში? ჰორიზონტალურად?  
ვერტიკალურად?



ასე ქარგავენ ჰორიზონტალურ ზოლს ჯვრებით. რომელ მხარეს არის  
მიმართული ქვედა ლამბი? ზედა ლამბი?



რა მსგავსებაა ჰორიზონტალური და ვერტიკალური ზოლების ქარგვის  
წესებში? როგორ არის განლაგებული ლამბები ნაჭრის უკანა პირზე?  
მოიფიქრეთ, როგორ შეიძლება ირიბ საზზე განლაგებული ჯვრების  
ამოქარგვა.

**დაიმახსოვრეთ:** ყველა ქვედა ლამბი მიმართული უნდა იყოს ერთ  
მხარეს, ხოლო ზედა ლამბი – მეორე მხარეს.


ჯვრებით ქარგვა ხდება ან ნახატის ან სქემის მიხედვით.



სცადეთ მოიფიქროთ თქვენი ნახატი და ამოქარგოთ ის, მაგრამ ჯერ დახატეთ ის უჯრედებიან ქაღალდზე.




„მხიარული კურდლელი“



„მეგობრობა“

შეიძლება მოიქარგოს წიგნის სანიშნები, მოსართავები, ბარათები, პანოები. ნაქარგით შეიძლება დაამშვენოთ ხელსახოცი, ტანსაცმელი, ჩანთები.



„პეპლები“

### პითავაპი




1. როგორი ხერხით შეიძლება შესრულდეს ჯვრებით ქარგვა?
2. რომელი ნაკეთობების დამზადებისას გამოიყენება ჯვრებით ქარგვა?



დაამზადეთ წებისმიერი სასურველი პანო ჯვრებით ქარგვის გამოყენებით.

## გვირისტი „მარყუჯები“



საახალწლო მისალოცი ბარათი





რა არის გამოსახული ბარათზე? რომელი მასალები და საგნებია გამოყენებული მისი დამზადებისას?


ნაძვი გამოვიდა მოცულობითი, იმიტომ რომ იგი ამოქარგულია გვირისტით – „მარყუჯებით“.

### გვირისტის შესრულების ეტაპები

შეასრულეთ ეს ნაკერი უჯრედებიან ქაღალდზე.

1. სად უნდა გავუყაროთ ნემსი? რით განსხვავდება ამ სამუშაოს დაწყება ჯვრებით ამოქარგვის სამუშაოს დაწყებისაგან? მოჭიმეთ ძაფი!
2. გაიმეორეთ ლამბი (3-4), მაგრამ არ მოჭიმოთ ძაფი, არამედ დატოვეთ როგორც მარყუჯი.
3. დააფიქსირეთ მარყუჯი თითით და გააკეთეთ ჩამამაგრებელი ლამბი მარცხენა ზედა კუთხიდან მარჯვენა ქვედა კუთხეში (5-6).
4. შემდეგი ლამბი დაიწყეთ მომდევნო ლამბის შუა ადგილიდან (7-8). მოჭიმეთ ძაფი.





5. გააკეთეთ მარყუჟი (9-10). დაამაგრეთ ის (11-12). მიაქციეთ ყურადღება, რომ მარყუჟები ერთნაირი იყოს. ასეთი გვირისტის შესრულების ტექნიკის ათვისების შემდეგ, შეგიძლიათ გააკეთოთ ბარათი. შესაძლებელია ვარიანტები.

**1 ვარიანტი.** უჯრებიან ქალალდზე ქარგვისას, მოიფიქრეთ, როგორ „დამალოთ“ ქალალდის ნაპირები.

**2 ვარიანტი.** ქარგვა ქსოვილზე. თუ ქსოვილი თეთრია, მოიფიქრეთ, როგორ დაიფაროს ის. თუ ქსოვილი ფერადია, მოიფიქრეთ როგორ უნდა გაფორმდეს ბარათი.

ნახატზე ნაჩვენები ცხვარი შეგიძლიათ ამოქარგოთ გვირისტით „მარყუჟებით“.



### პითავაპი



1. რომელი მასალებია გამოყენებული ბარათის დამზადებისას?
2. შეიძლება ცხვრის ფიგურის დამზადება გვირისტით „მარყუჟები“?



დაამზადეთ ბარათი გვირისტი „მარყუჟი“-ს გამოყენებით.

## თოჯინა-სათბური ჩაიდანისთვის. თოჯინა ხელთათმანი




გინახავთ თოჯინა-სათბური ჩაის ფერის დასაყენებელი ჩაიდნისთვის?  
როგორ შეიძლება თოჯინა-სათბურის დამზადება?

ამ ტიპის თოჯინები შედგებიან მუფტა-დამათბობელისაგან და მოსართავი დეტალებისაგან. მუფტაზე ზემოდან მაგრდება თოჯინის ტანი ხელებით და თავით. თვითონ მუფტა დაფარული იქნება კაბის ან სარაფანის ქვეშ.




დავამზადოთ მუფტა. აიღეთ ჩაის ფერის დასაყენებელი თქვენი ჩაიდნის ზომები, რათა დამზადოთ მუფტის თარგი. ნახაზზე ჩაიდნის სიმაღლეა - ა, სიგანე ყველაზე ფართო ადგილას - ბ.



მუფტა შედგება დამათბობელისა და შალითისაგან. დამათბობლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ვატინა, ბამბა, თივთიკი. შალითისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ბამბის ნებისმიერი ქსოვილი.

შალითის დეტალები გამოჭრით 1.5 სმ-ის მეტობით.



დამათბობელი ნაჭერი მოათავსეთ შალითის ორ ნახევარს შორის. გაკერეთ ნაპირები ნაკერით „ხელის გვირისტი“ და შემოუხვიეთ ნაპირები. ერთმანეთს გადააკერეთ შალითებში მოთავსებული დამათბობელი ნაჭრის ორი დეტალი. ზემოდან დატოვეთ გაუკერავი ადგილი თოჯინის კორპუსისათვის.


**თოჯინა ხელთათმანი.** მეთოჯინები მათ ხელზე წამოიცვამენ ხოლმე როგორც ხელთათმანებს. ასეთი თოჯინის საფუძველს წარმოადგენს შალითა, რომელზეც ამაგრებენ ხელებს და თავს. შალითისთვის აიღეთ ბამბის თხელი ქსოვილის ორი ნაჭერი 30X30 სმ ზომით.

დაადეთ ერთმანეთს და მოკეცეთ ორად.



ქაღალდზე გადაიტანეთ თარგი, მიამაგრეთ იგი მოკეცილ ქსოვილს. შემოხაზეთ ცარცით და გამოჭერით 1 სმ-ის მეტობით. გამოჭრილი დეტალები დაადეთ ერთმანეთს კარგი პირით შიგნით და გაკერეთ ნაკერით „ხელის გვირისტი“. ჩამონაჭრები მონიშნეთ ნებისმიერი ნაპირის დასამუშავებელი ნაკერით.

მეთოჯინის ხელი შალითის შიგნით შეიძლება სხვადასხვანაირად მოთავსდეს. მაგალითად ისე, როგორც ეს ქვემოთ ნახატზეა ნაჩვენები.



იმისათვის, რომ თოჯინის ხელით მართვა გაგიადვილდეთ, დაამზადეთ მუყაოს მართკუთხედებისაგან ე. წ. „პატრონები“. ამისათვის მჭიდროდ შემოიხვიეთ ისინი ნეკა თითისადა ცერა თითის გარშემო.



შემდეგ შემოახვიეთ პატრონებს ლეიკოპლასტირი. დატოვეთ ლეიკოპლასტირის 1 სმ-ის სიგანის კლაპანი. ამ კლაპანს მიაკერეთ პატრონები მეტობით სახელოებთან შალითის შიდა მხრიდან. გადმოაბრუნეთ შალითა და წამოიცვით ხელზე. თუ თოჯინის კისერი საკმარისად კარგად ვერ დაფიქსირდა თქვენს თითებზე, კისრისათვისაც გააკეთეთ პატრონა.

### კითხები



- რისთვის არის გათვალისწინებული თარგზე ნამატი 1.5 სმ-ით?
- რა დანიშნულება აქვს ჩაიდანის დამათბობელს და რა მასალისგან კეთდება ის?
- რამდენი ნაწილისაგან შედგება თოჯინა-სათბური?



დაამზადეთ თოჯინა-ხელთათმანი ჩაის ფერის დასაყენებელი ჩაიდნისთვის.

## შეფუთვის ლანგიზონი შეკვრა



რას ჩუქნიან ადამიანებს, როცა მიდიან სტუმრად, ან აღნიშნავენ დაბადების დღეს?

შეგიძლიათ ლამაზად და კოხტად შეფუთოთ საჩუქარი?

ამ ხერხის გამოყენებით შეგიძლიათ შეფუთოთ კოლოფი მგზავრობის წინ ნებისმიერი ზონარის გამოყენებით. ხოლო თუ ლამაზ ლენტს ავიღებთ, შეიძლება საჩუქრის კოლოფი ლამაზად გავაფორმოთ. იმისათვის, რომ შევფუთოთ ფეხსაცმლის სტანდარტული ყუთი, საჭიროა არანაკლებ 3 მეტრი სიგრძის ზონარიან ლენტი.



თუ თქვენ არ გამოგდით ლენტის ბოლოების კოლოფის წინა მხარეზე შეკვრა, მაშინ ლენტის შეკვრის წერტილი განსაზღვრეთ სამუშაოს დაწყებამდე.



**დეკორატიული ბაზთა.** შემოაკარით კოლოფს ან ფუთას ლენტი ჯვარედინად. ცენტრში გადანასკვეთ ისე, რომ დარჩეს ორი ბოლო: გრძელი – არანაკლებ ერთი მეტრი სიგრძისა და მოკლე – დაახლოებით 20 სმ.



გაშალეთ ცერა და საჩვენებელი თითები კვანძიდან თანაბარ მანძილზე. დაიხვიეთ ზედ ლენტის გრძელი ბოლო რვიანის სახით. შემდეგ ფრთხილად მოიხსენით თითებიდან ლენტი და მიაჭირეთ კვანძზე. ლენტის მოკლე ბოლოთი შემოახვიეთ მას შუაში ისე, რომ დარჩეს პატარა მარყუჟი. მოკლე ბოლო გაატარეთ კვანძის ქვეშ და გაუყარეთ მარყუჟში. მაგრად შეკარით კვანძი და გაშალეთ ბაზთა.

### კითხვები



- რისთვის არის საჭირო შეფუთვის შემოკვრა ზონრით ან ლენტით?
- რა მასალების გამოყენება შეიძლება შეფუთვაზე შემოსაკრავად?
- რას უნდა მიექცეს ყურადღება შეფუთვის დეკორატიული ლენტით გაფორმებისას?



გააფორმეთ საჩუქრის შეფუთვა დეკორატიული ბაზ-თებით.

## მხატვრული კონსტიტუცია, დიზაინი



ერთად განვიხილოთ შემდეგი საკითხი. დავუშვათ, საყოფაცხოვრებო ტექნიკით, ავეჯით, სამეურნეო საქონლით სავსე მაღაზიაში მიხვედით.



როგორი საქონელი\* მიიქცევს თქვენს ყურადღებას?

მრავალი, ერთნაირი დანიშნულების ნაკეთობიდან რომელს მიანიჭებთ უპირატესობას? რატომ?

შეიძლება ითქვას, რომ მყიდველი საქონელს მიმზიდველობის მიხედვით ირჩევს?



უპირველეს ყოვლისა, რითი გიზიდავთ საქონელი?

ეთანხმებით თუ არა იმას, რომ „ნებისმიერი საქონელი იზიდავს ადამიანს თავისი სილამაზით, მოხერხებულობით, თვალისმომჭრელი შეფუთვით, უჩვეულო ფორმით, ანუ გარეგნული შესახედაობით, სხვაგვარად რომ ვთქვათ – „დიზაინით“?

**დიზაინის** უწოდებენ არა მარტო ნაკეთობის გარეგან სახეს, არამედ ამ გარეგანი სახის მხატვრული კონსტრუირებისა და შექმნის პროცესსაც. მათ, ვინც მხატვრული კონსტრუირებით არის დაკავებული, **დიზაინერებს** უწოდებენ.

დიზაინი ინგლისურიდან თარგმანში ნიშნავს „პროექტს“, „ნახატს“, „შესახედაობას“.

**მხატვრული დიზაინი** დაკავშირებულია ხელოვნებასთან, სილამაზის შექმნასთან.

ინჟინრების მუშაობის პროდუქტს წარმოადგენს მომავალი ნაკეთობის პროექტი, წარმოდგენილი ტექნიკურ-ტექნოლოგიურ დოკუმენტაციაში, ხოლო დიზაინერების შემოქმედების პროდუქტია ნაკეთობის პროექტი, წარმოდგენილი ნახატებში და მაკეტებში.



ყოველი საწარმო, ზრუნავს რა თავისი პროდუქციაზე მოთხოვნის გასაზრდელად, იწვევს სამუშაოდ მხატვარ-დიზაინერებს. ისინი ადგენენ, თუ როგორი სახე ექნება მათ ნაკეთობას და მის ყოველ დეტალს, აგრეთვე შეიმუშავებენ საწარმოს ყველა ნაკეთობის გაფორმების ერთიან სტილს, რათა მათი პროდუქცია ბაზარზე გამოირჩეოდეს სხვა მსგავსი პროდუქციისაგან თავისი ესთეტიკური მიმზიდველობით.

\* საქონელი – გასაყიდად დამზადებული ნაკეთობა.

დიზაინის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ტექნიკის მხატვრული კონსტრუირება, მათ შორის საყოფაცხოვრებო ტექნიკისაც (ტელევიზორების, მტვერსასრუტების, ფენების და ა.შ.).

ამ საკითხში დიზაინერები მჭიდროდ თანამშრომლობენ ინჟინრებთან. დიზაინერები უნდა იცნობდნენ მოწყობილობას, იცოდნენ ხელსაწყოს ან მანქანის მოქმედების პრინციპი, მათი დამზადების ტექნოლოგია, მასალის თვისებები, რათა დიზაინის თავის პროექტში გააერთიანონ ახალი ნაკეთობის სარგებლიანობა, უსაფრთხოება, მოხერხებულობა და სილამაზე.



დაათვალიერეთ ავტომობილის სხვადასხვა მოდელი.



რომელი მოდელი გიზიდავთ ყველაზე მეტად და რატომ?

გავეცნოთ ძირითად მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე ავტომობილი:

- \* უსაფრთხოება;
- \* გამძლეობა;
- \* ეკოლოგიურობა;
- \* მოხერხებულობა მართვისას და მოხმარებისას;
- \* ესთეტიკური მიმზიდველობა;
- \* კომფორტულობა;

### პითავები



1. რას უწოდებენ ნაკეთობის დიზაინს?
2. რა განსხვავებაა დიზაინერისა და ინჟინერის პროფესიებს შორის?
3. რა უნდა იცოდეს დიზაინერმა?



გამოთქვით თქვენი აზრი თანამედროვე ავტომობილების შესახებ.

## პაპი-მაშესგან\* დამზადებული ნაკათობები



რომელი მასალებისგან სწავლობდით ძერწვას ტექნოლოგიის გაკვეთილებზე I-III კლასებში?

რა თვისებები აქვს ყველა ამ მასალას?

მოგწონთ ძერწვის პროცესი?

იცით თუ არა, როგორ დარა მასალისგან არის დამზადებული ეს ნაკეთობები?



ყველა ეს ნაკეთობა გამოძერნილია „დაპრესილი“ ქაღალდის – პაპიე-მაშესგან. პაპიე-მაშედან ნაკეთობების დამზადების ტექნოლოგია გაჩნდა სპარსეთში შუა საუკუნეებში. ძველი დროის ოსტატები ამზადებდნენ სხვადასხვა კოლოფებს, ზარდახშებს, ცარცისა და წებოს ნარევით გაუდენილი რამდენიმე ფენისგან შემდგარ სადგამებს. ხოლო XVIII საუკუნეში ევროპაში მოდაში შემოვიდა სათუთუნეები. მათ ამზადებდნენ როგორც ძვირფასი მეტალებისგან, ასევე „დაპრესილი“ ქაღალდისაგან – სელის ზეთში მოხარშული და მაღალ ტემპერატურაზე გამომშრალი, დაპრესილი მუყაოსაგან.

პაპიე-მაშედან დამზადებული ნაკეთობები დღესაც წარმატებით სარგებლობენ. პაპიე-მაშედან მზადდება სხვადასხვა წვრილმანი ნაკეთობები – სათამაშოები, ნიღბები, დეკორატიული ნაკეთობები, ბუტაფორიები თეატრისთვის.



ნაკეთობის დასამზადებლად თქვენ დაგჭირდებათ: გაზეთის ქაღალდი, თასით წყალი, კლეისტერი\*\* (ფქვილის ან სახამებლის), ვაზელინი ან ცელოფნის პარკი, პოლივინილაცეტატის (პვა) წებო, წყალ-ემულსიური საღებავი, ფუნჯები წებოსა და საღებავისათვის.


\* პაპიე-მაშე – ფრანგულიდან თარგმანში ნიშნავს „დაღეჭილ ქაღალდს“

\*\* კლეისტერი – წებო

### სამუშოს მსვლელობა

- დაადგინეთ, რომელი ნაკეთობის დამზადება გსურთ. როგორია მისი დანიშნულება, ფორმა, ზომები? როგორ შეიძლება მისი გაფორმება?
- მოამზადეთ ან გააკეთეთ საფუძველი მომავალი ნაკეთობისათვის. საფუძვლად შეიძლება გამოდგეს, მაგალითად, ლარნაკი, თეფში, ჭიქა. საფუძველი შეიძლება გამოძერნოთ პლასტილინისგანაც.
- წყლიან ჯამში ჩაალბეთ გაზეთის ქაღალდის ნაჭრები ზომით არა უმეტეს 15 მმ-სა.


1




3



- საფუძველს გადაუსვით რაიმე ცხიმი (მაგალითად, ვაზელინი) ან შემოახვიეთ ცელოფნის პარკი.
- შემოახვიეთ საფუძველს წყალში დამბალი ქაღალდის ნაჭრები რამდენიმე ფენად. პირველ ფენას კლეისტერი არ წაუსვათ, რათა ქაღალდი საფუძველს არ მიეწებოს. ყურადღებით იყავით, ქაღალდის ნაჭრები ერთმანეთს რომ არ გადაეფაროს. საჭიროების შემთხვევაში ნაპირები მაკრატლით შეასწორეთ.




5



- კარგად გააშრეთ ნაწილები ფორმაზე.
- მოხსენით ნამზადი ფორმიდან. თუ ეს რთული გასაკეთებელია, გაჭერით ის ორ ნაწილად სიგრძეზე ან სიგანეზე.
- შეაწებეთ ეს ნახევრები მათზე ქაღალდის კიდევ ერთი ფენის დადებით და გააშრეთ.

6



7



8. გააკეთეთ ნამზადის გრუნტირება პვა წებოთი და თეთრი გუაშით.
9. მოხატეთ ნაკეთობა, ან მორთეთ ბუნებრივი მასალებით.

8



9



### პითავაპი



1. როგორია პაპიე-მაშეს დამზადების ტექნოლოგია?
2. გვიამბეთ თქვენს მიერ დამზადებული ნაკეთობის შესახებ.
3. შეესაბამება თუ არა ამ ნაკეთობის მოხატულობა მის დანიშნულებას და ფორმას?
4. რატომ იღებს პაპიე-მაშეს ტექნიკით შესრულებული ქაღალდის ნაკეთობა ნამზადის ფორმას, რატომ ხდება მყარი და ხისტი?



დაამზადეთ პაპიე-მაშესგან რაიმე ნაკეთობა.

## მოცულობითი ნაპოვნები ნაპრალისებრი ჩამატით

ხელოსნები ოდითგანვე აგებდნენ ხის ნაგებობებს ლურსმნების გამოყენების გარეშე.



შესაძლებელი კი არის ქაღალდის მოცულობითი ნაკეთობის დამზადება წებოს გარეშე?

როგორ შეიძლება ასეთი სათამაშოს გაკეთება?

შეიძლება მისი შეკვრა ქაღალდით?


რამდენი დეტალი იქნება საჭირო ამ შემთხვევაში?

უნდა აღინიშნოს, რომ თხელი მუყაოს დეტალები შეიძლება შეერთდეს ნაპრალისებრი ჩამატით.

რატომ ეძახიან ასე, მიხვდებით, როცა დაასრულებთ სამუშაოს.



როგორ ფიქრობთ, რამდენი დეტალი იქნება საჭირო შეერთების ასეთი ხერხის გამოყენებისას?



მიაქციეთ ყურადღება, რომ დეტალები სიმეტრიულია და ნაპრალები ჩაჭრილია სიმეტრიის ღერძის გასწვრივ.

რას წარმოადგენს ნაპრალისებრი ჩამატით?

ნაპრალისებრი ჩამატითი სათამაშოებისათვის შეიძლება სხვა ფორმაც შევარჩიოთ.




შეიძლება კი შეერთების ხერხს, რომელიც გამოყენებულია წარმოდგენილ სათამაშოში, ნაპრალისებრი ჩამატითი ვუწოდოთ?



რით განსხვავდება ეს ხერხი წინა ხერხების-გან?



დაფიქრდით, რას უნდა მიაქციოთ ყურადღება ნაპრალების ჩაჭრისას?



თუ იყენებთ ცალი მხრიდან შეღებილ მუყაოს, მოიფიქრეთ როგორ გააფორმებთ მის მეორე მხარეს. მაგალითად მკვეთრი ფერის რგოლებით, ფოლგის ნაჭრებით და ა.შ.


ჩვენ უკვე ვიცით ქალალდის ზოლიდან ნაკეთობების დამზადება წებოს დახმარებით. აქაც წებოს ნაცვლად შეიძლება ნაპრალისებრი ჩამკეტის გამოყენება.



გააკეთეთ ფრინველების ფიგურები ქალალდის ზოლებისგან ნაპრალისებრი ჩამკეტის გამოყენებით.



რას აღნიშნავენ მსხვილი ხაზებით?  
რას აღნიშნავენ ორწერტილიანი შტრიხებით?



მსხვილი ხაზები განშლაში მიუთითებენ დეტალის ხილულ კონტურებზე (ჭრილებზე).

სიგრძე და სიგანე განსაზღვრეთ დამოუკიდებლად.



რა უნდა გაითვალისწინოთ ამ დროს?  
თვალით განსაზღვრეთ ჭრილების და გადაკეცვის ადგილები.  
როგორც განშლებიდან ჩანს ჭრილების ადგილის შეცვლით შეიძლება ფრინველების სხვადასხვა ფიგურების გაკეთება.



## პითავები



- დეტალების შეერთების როგორი სახეებიარსებობს?
- რით განსხვავდებიან მათგან შეერთებები ნაპრალისებრი ჩამკეტით?
- რას უნდა მივაქციოთ ყურადღება ნაპრალების ჩაჭრისას?
- რა როლს ასრულებს ნაპრალისებრი ჩამკეტი ფრინველების ფიგურებში?



ქალალდის ზოლებისგან დაამზადეთ ნაკეთობა წებოს გამოუყენებლად.



## ტყავის ნაკეთობების დამზადება



სად შეგხვედრიათ ტყავისგან დამზადებული ნაკეთობები?  
ტყავისგან დამზადებული რომელი ნაკეთობები იცით?




დაათვალიერეთ სურათზე წარმოდგენილი ნაკეთობები. რა მასალისგან არიან ისინი დამზადებული?


გასაღების ბრელოკი\*



სანიშნი



ტყავის სამაჯური



**ცხოველის ტყავი** – რბილი და პლასტიკური მასალაა. ის შეუცვლელი მასალა იყო ჩვენი შორეული წინაპრებისათვის. ტყავის ნაკეთობები დღემდე რჩებიან ყველაზე გავრცელებულად და მოდურად.

რისი გაკეთება აღარ ისწავლეს ადამიანებმა ტყავისგან: ფეხსაცმლის და ტანსაცმლის, მორთულობის, ცხენის აღკაზმულობის და პერგამენტისაც\*\* კი, რომელზეც ძველად წიგნებს წერდნენ. ისტორიულად ცნობილია ტყავის ფული, ტყავის თავშესაფარი და სახლები, მუსიკალური ინსტრუმენტები და ა.შ.

თქვენც შეგიძლიათ ახალი სიცოცხლე მისცეთ ტყავის ძველ ნივთებს. არ გადაყაროთ ტყავის ძველი ჩექმები, ხელთათმანები, ჩანთები. გამოჭერით ტყავის ნაჭრები ნაკეთობების ნაკლებად გაცვეთილი ნაწილებიდან. დასვრილი ტყავი გარეცხეთ ანადუღარი თბილი რძით. ნესტიანი ჩამონაჭრები გაასწორეთ, გადააფარეთ მშრალი ტილო და გააშრეთ პრესის ქვეშ.

ტყავთან მომუშავე ოსტატები იყენებენ სპეციალურ ინსტრუმენტებს – ბასრ დანებს, გამხვრეტებს.



სამუშაოდ შეარჩიეთ თხელი ტყავი. ამ შემთხვევაში ნახვრეტები შეგიძლიათ გააკეთოთ საკანცელარიო დანით და ქალალდის საკანცელარიო გამხვრეტით.



ყურადღება მიაქციეთ ტყავის სამაჯურის დამზადების თანამიმდევრობას. მუყაოს თარგის დამზადების შემდეგ ერთი ფერის ტყავისგან გამოჭერით ხუთი რგოლი, ხოლო მეორე ფერის ტყავისგან – ოთხი რგოლი.

025




\* ბრელოკი – მოსართავი გასაღებისთვის.

\*\* პერგამენტი – ცხოველის ტყავი, რომელიც ძველად გამოიყენებოდა საწერად.

წაივარჯიშეთ ქაღალდის რგოლებზე, როგორ უნდა დავაყენოთ საკანცელარიო გამხვრეტი, რათა ნახვრეტები გაკეთდეს მონიშნულ ადგილას.

გამოჭერით 20 სმ სიგრძის და 1 სმ სიგანის ტყავის ლენტი. თანამიმდევრობით გაატარეთ ლენტი ერთმანეთზე დადებულ რგოლებში.



სამაჯური ხელზე მოიზომეთ და ჩამოაჭერით ლენტის ბოლოები საჭირო ზომამდე.

გააკეთეთ შესაკრავი. გამოჭერით 25 სმ სიგრძის და 4-5 მმ სიგანის ტყავის ზოლი და 1.5-2 სმ დიამეტრის ტყავის პატარა რგოლი.



ლენტის ბოლოებზე და რგოლის ცენტრში ამოჭერით პატარა ნახვრეტები.

არ დაგავიწყდეთ, რომ ტყავის გაჭრა მხოლოდ ამოსადებ დაფაზე შეიძლება.

არ ღირს მისი ერთბაშად გაჭრა. უკეთესია მცირე ძალისხმევით რამდენჯერმე გავატაროთ დანაგაჭრის ხაზზე.



### პითხები



- ტყავის რომელი ნაკეთობები იცით?
- რომელი ინსტრუმენტები გამოიყენება ტყავზე მუშაობისას?
- როგორი თანამიმდევრობით მზადდება ტყავის სამაჯური?



დაამზადეთ ტყავის ნებისმიერი ნაკეთობა.

## ნაკათობები პლასტმასის პოთლისგან


თქვენ არაერთხელ დაგილევიათ წყალი პლასტმასის ბოთლიდან.




რა მიზნით შეიძლება პლასტმასის ბოთლის გამოყენება?  
შეიძლება რაიმე ნაკეთობის დამზადება პლასტმასის ბოთლისგან?



თუ მას გავჭრით, მაშინ როგორ შეიძლება ბოთლის მოჭრილი ნაწილების გამოყენება?



ბოთლის ძირიან ნაწილზე გავაკეთოთ ვიწრო და განიერი ჭრილები (1). წავაწვეტოთ ზოლები (2). ვიწრო ზოლის წვეტიან ბოლოზე ადვილად წამოეცმება საჭირო დეტალები (3). ვიწრო ზოლების ქვეშ შეიძლება გავაკეთოთ ჭრილები (4) და მათში გავუყაროთ ზოლის ბოლო (5).




როგორ უნდა გავჭრათ ბოთლი?  
**ყურადღება! ძალზე მნიშვნელოვანია ვისწავლოთ დანისა და ბოთლის სწორად დაჭერა.**

მყარად დავიკავოთ ბოთლი (6), დავიჭიროთ დანა ისევე, როგორც ბურთულიანი კალამი, სამუშაო ნაწილის ბოლოსთან ახლოს (7). თუ დანას ფრთხილად დავაჭერთ ბოთლს, მივიღებთ პატარა ჭრილს. ბოთლის ნელნელა დატრიალებით დანის შემხვედრი მიმართულებით ვაგრძელებთ გაჭრას (8).



როგორ დავჭრათ ბოთლი ზოლებად (9)?

მოდით, თვალზომით გავჭრათ. მყარად დავიჭიროთ ნამზადი და გავაკეთოთ პირველი ჭრილი (10).



გადავაბრუნოთ ნამზადი, ჩავჭრათ მეორე მხრიდან, ზუსტად პირველი ჭრილის მოპირდაპირე მხარეს. შემდეგ თითოეული ნახევარი კიდევ გავჭრათ შუაზე და ასე გავაკეთოთ იმდენი ჭრილი, რამდენიც გვჭირდება (11).

ნავუწვეტოთ ზოლებს ბოლოები. ხელისგულში მოვაქციოთ ყველა ზოლი, ცერა თითზე გადმოვუშვათ ერთი და ჩამოვაჭრათ წვერო ორი მოძრაობით (12).



11



12



13



14

პლასტიკის ვიწრო ზოლს დაახვევენ ფალცზე (14).

კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ დანით და მაკრატელით უსაფრთხო მუშაობის წესები.



**გახსოვდეთ: არ შეიძლება ბლაგვი დანებითა და მაკრატლებით მუშაობა.**

### კითხები



1. რა უნდა გავაკეთოთ პლასტიკური ბოთლიდან ნაკეთობის დამზადებისას?
2. რომელი ინსტრუმენტები უნდა გამოვიყენოთ პლასტიკური ბოთლის დაჭრისას?
3. უსაფრთხოების რომელი წესები უნდა დავიცვათ ამ ინსტრუმენტებით მუშაობისას?



დაამზადეთ ნებისმიერი ნაკეთობა პლასტიკური ბოთლიდან.


## მერქნის თვისებები, დამზადება და დამუშავება



ფანჯარა



ფიგურა „აქლემი“



ჩაიდანის დასადგმელი

განვიხილოთ ნახატები.



რისგან არის დამზადებული ეს ნაკეთობები?

რა თვისებები აქვს მერქანს და ფანერას?

როგორ იყენებენ მერქანს?

მერქნის რომელი ჯიშები იცით?

**მერქანი** – მკვრივი მასალა, რომელიც მიიღება ქერქისა და ტოტებისაგან გაწმენდილი მოჭრილი ხეებისაგან. ეს არის ყველაზე გავრცელებული ბუნებრივი მასალა, რომელიც გამოიყენება მშენებლობაში და შენობების მოსაპირკეთებლად, ავეჯის, საყოფაცხოვრებო ნივთების დასამზადებლად და დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში.

მერქანი გამძლე, მაგრამ რბილია. ის კარგად მუშავდება, გააჩნია ბგერა – და თბოიზოლაციის უნარი, წყალში იჟღინთება, შეიძლება დაიბრიცოს და დასკვდეს.

მერქანს კარგად აერთებენ მეტალის სამაგრები – ლურსმნები, შურუპები.

მერქნის ნაკეთობები გამძლე და ლამაზია.



რა იცით მერქნის მიღებისა და დამუშავების შესახებ?

ყურადღება მიაქციეთ ნახატებს. რა არის გამოსახული მათზე?



მერქნის ნედლეულის დამზადებით მრეწველობის ხე-ტყის მომპოვებელი დარგია დაკავებული. მერქნის დამზადება და პირველადი დამუშავება შედგება რამდენიმე ოპერაციისაგან – ტოტების ჩამოჭრა, გადაზიდვა, დახერხვა, დახარისხება, დასაწყობება.


ხე-ტყეს ტყისმჭრელები ამზადებენ. შემდეგ წაქცეულ ხეებს ტოტებს აჭრიან სპეციალური მანქანებით. მანქანების მძლოლებს, ხე-ტყის დამცურებლებს, ელმავლის მემანქანეებს გადააქვთ მორები სატყეო-სამრეწველო კომპინატებში საავტომობილო, წყლის ან რკინიგზის ტრანსპორტის გამოყენებით.

კომპინატების საწყობებში მორებს ახარისხებენ ზომისა და ხარისხის მიხედვით და აწყობენ შტაბელებად.

მერქნის გადამუშავებით მრეწველობის ხე-ტყის დამამუშავებელი დარგია დაკავებული.

მორების დახერხვამდე და დანაწევრებამდე სრულდება გაქერქვა – მორიდან ქერქის მოცილება გასაქერქი დაზგების დახმარებით.

მორების დახერხვა ხდება სამხერხაო ჩარჩოებზე. ასე მერქნიდან ღებულობენ სხვადასხვა დახერხილ მასალას: ფიცრებს, ლარტყებს, ძელებს, ძელაკებს.



იპოვეთ ეს ელემენტები დახერხილი მასალის ნებისმიერ ნიმუშზე.

დახერხილი მასალების გარდა მერქნიდან სხვა მასალებსაც ღებულობენ, მაგალითად ფანერას.

**ფანერა** – მსუბუქი, მტკიცე მასალაა, რომელიც მიიღება ხის თხელი ფირფიტების ერთმანეთზე დაწებებით. იგი კარგად მუშავდება, არ ეშინა ნესტის. მას იყენებენ მშენებლობაში, ავეჯის, საყოფაცხოვრებო საგნების, სათამაშოების დასამზადებლად.



დაათვალიერეთ დახერხილი  
მასალების და ფანერის ნიმუშები.



ფანერა

რა საერთო აქვთ ამ მასალებს?

რა განსხვავებაა მათ შორის?

რამდენი ფენისგან არის დამზადებული ფანერის ნიმუში?

მერქნის დამუშავება მოიცავს რამდენიმე ოპერაციას: ხერხვას, აწყობას, შესწორებას, მოპირკეთებას.

**დაიმახსოვრეთ:** მერქნის გასახერხად იყენებენ ხერხს, რკინის ხერხს ან ბენვა ხერხს.

ხერხები (რკინის ხერხები) განსხვავდებიან მოწყობილობით, კბილების ზომით და დანიშნულებით.



დაათვალიერეთ ხერხის კბილები.



თუ ხერხის კბილები გადახრილია სხვადასხვა მხარეს, ჩანახერხი ხერხის პირზე განიერი იქნება. ამიტომ ნამზადის გახერხვისას აუცილებელია ხერხი მონიშნული ხაზიდან 2-3 მმ მარცხნივ გადავწიოთ.

**დაიმახსოვრეთ:** დეტალების შეერთებას მთლიან ნაკეთობად აწყობა ჰქვია. ხის დეტალებს უფრო ხშირად ლურსმნებით აერთებენ.

**ხვეწა** – ეს არის დეტალის ზედაპირიდან წვრილი უსწორმასწორობების მოცილება.

მერქნის გასახვეწად იყენებენ ზუმფარის ქაღალდს. მერქნის ხვეწა ხდება ბოჭკოების გასწვრივ.

**მოპირკეთება** – ეს არის ნაკეთობის საბოლოო დამუშავება. ის აუცილებელია მისი გარეგნული სახის გასაუმჯობესებლად და ტენის ზემოქმედებისგან დასაცავად. ხის ნაკეთობის მოპირკეთება მოიცავს ზედაპირის განმენდას, დეკორატიულ გაფორმებას და ლებვას, მხატვრულ ამონვას ან ამოჭრას.



### პითევები



- რისთვის იყენებს ადამიანი მერქანს?
- რისგან იღებენ მერქანს?
- მერქნის რომელი თვისებებია თქვენთვის ცნობილი?
- რისი გაკეთებაა საჭირო ტყის შესანარჩუნებლად?
- რისთვის ხორციელდება ხერხვა?
- რას ეწოდება აწყობა?



გააკეთეთ ნებისმიერი სადგამი ცხელი ქვაბისა და ჩაიდანისათვის.



## ბენვა ხერხით ხერხვა

ტექნოლოგიის გაკვეთილებზე თქვენ ხშირად გინევთ ძაფებთან მუშაობა. ხელსაქმის დროს დაგჭირდებათ ფერადი ძაფების გორგლები.



რაზე ახვევენ ძაფებს?  
ყურადღება მიაქციეთ ნახატებს.  
რა არის ეს?



თქვენ მართალი ხართ. ეს კოჭია ძაფისთვის. ძაფებისათვის მტკიცე და გამძლე კოჭების დამზადება შეიძლება ფანერისაგან, თანაც მხიარული ფიგურების ფორმით.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ასეთი როტული ფორმის ფიგურების გამოჭრა შეიძლება მაკრატლით ქაღალდისაგან.



როგორ შეიძლება ასეთი მხიარული კოჭების გამოჭრა ფანერისაგან ან პენოპლასტისაგან\*?


რომელი ინსტრუმენტები და მოწყობილობები დაგჭირდებათ ცხოველების ფორმის ასეთი მხიარული კოჭების დასამზადებლად?

ცხოველების ფორმისათვის საჭირო ზომის ნამზადის გამოხერხვა შეიძლება ფანერის ფურცლიდან ხერხის გამოყენებით.

შეიძლება კი ფანერიდან ცხოველების ფიგურის გამოხერხვა ხერხის დახმარებით?

ამ შემთხვევაში დაგვეხმარება ბენვა ხერხი.

**დაიმახსოვრეთ!** ბენვა ხერხი – ეს არის ინსტრუმენტი მრუდხაზოვანი კონტურის მქონე ფიგურების გამოსახერხად. მისი მუშა ნაწილია - ვიწრო და ბენვა ხერხი.



ბენვა ხერხი


ქლიბები

ხერხი მაგრდება ჩარჩოში ქანჩი „ბატკანი“-ს და ქანჩისალების საშუალებით.


\*პენოპლასტი – ფორმვანი პლასტიკური მასა.

ბენვა ხერხი ჩარჩოში აუცილებლად კარგად უნდა იყოს დაჭიმული და დამაგრებული. ხერხს ჩარჩოში ჯერ ქვედა ხრახნით ამაგრებენ, შემდეგ შეკუმშავენ ჩარჩოს და დაამაგრებენ ხერხის მეორე ბოლოს ზედა ხრახნით.

გამოსახერხი მაგიდა სამუშაო მაგიდაზე მაგრდება ჭახრაკის დახმარებით და მასზე სრულდება გამოხერხვის ოპერაცია.




ქანჩსალები



გამოსახერხი  
მაგიდა





ჭახრაკი



ა)




ბ)




მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ მარცხენა ხელი ხერხის ქვეშ არ მოგვიყვეს.

### შევისწავლოთ გამოხერხვის ტექნიკა


1. ნამზადი მოხერხებულად დავდოთ გამოსახერხ მაგიდაზე, დავიწყოთ ფანერის ან პენოპლასტის გამოხერხვა.




1



2



3



4

2. ხერხი დადის ზევით-ქვევით წინ გადახრის გარეშე. მარცხენა ხელი ამოძრავებს ნამზადს.

3. ვხერხავთ აუჩქარებლად, კუთხემდე. აქ ხერხი „ერთ ადგილს ტკეპნის“ – აკეთებს სამ-ოთხ ნაბიჯს ზევით-ქვევით ერთ ადგილზე.

### დაიმახსოვრეთ!

- ხერხის უბრალოდ მობრუნება ნამზადშიარ შეიძლება – ის მაშინვე გატყდება.  
4. ახლა ხერხს ვაჩქრებთ, მან თავისთვის ამოხერხა მრგვალი ხვრელი. აი სწორედ მასში ის ადვილად მობრუნდება.

**ნიმუში** – ეს არის პატარა ზომის ქლიპი. ნადფილის დახმარებით ხდება უსწორმასწორობათა ჩამოჭრა ფანერის დეტალის ნაპირებზე.



ნიმუში



ზუმფარის ქაღალდი

დეტალების გასაშლითად იყენებენ ზუმფარის ქაღალდს.

ფანერი, უჯრედებიანი ქაღალდი, პირის გადასაღები ქაღალდი (ქაღალდი კოპირებისათვის) საჭიროა ფიგურის კონტურის ასაგებად და მოსანიშნად.

**სამუშაოს მსვლელობა**

1. მოიფიქრეთ, როგორი კოჭის გაკეთება გსურთ.
2. დახაზეთ ფიგურის ესკიზი.
3. მოხერხეთ ფანერის საჭირო ზომის ნამზადი.



4. გადაიტანეთ ნახატის კონტურები ნამზადზე პირის გადასაღები ქაღალდის დახმარებით.
5. საიმედოდ დაამაგრეთ ხერხი ჭახრაკით სამუშაო მაგიდაზე.
6. მყარად ჩაამაგრეთ ბეწვა ხერხი ჩარჩოში.
7. გამოხერხეთ ფიგურა გარეთა კონტურის გასწვრივ.
8. გაასუფთავეთ ფიგურის ნაპირები.
9. გაშლიფეთ დეტალის ზედაპირი წვრილხორცულიანი ზუმფარის ქაღალდით.
10. მორთეთ კოჭა.

### კითხები



1. რა მიზნით იყენებენ ბეწვა ხერხს?
2. რა ნაწილებისაგან შედგება ბეწვა ხერხი?
3. როგორ სრულდება ბეწვა ხერხით გამოხერხვის ოპერაცია?
4. რას უნდა მივაქციოთ ყურადღება ბეწვა ხერხით მუშაობისას?



გამოხერხვის ტექნიკის გამოყენებით გამოხერხეთ ნებისმიერი ფიგურა გარე კონტურის მიხედვით.

## მოძრავი სათამაშოები



მოძრავდეტალებიანი რომელი სათამაშოებია თქვენთვის ცნობილი III კლასიდან?


მოგწონთ თოჯინების სპექტაკლები?

გინდათ საკუთარი თოჯინების თეატრი შექმნათ?

დეტალების შეერთების როგორი ხერხები იცით?



დაათვალიერეთ სურათები. რაშია ამ სათამაშოების კონსტრუქციის თავისებურებები?



სათამაშოები მოძრავი დეტალებით „ცოცხლებივით“ გამოიყურებიან. ამიტომ, მათთან თამაში საინტერესოა და შეიძლება თოჯინების სპექტაკლის დადგმაც კი.

**I ხერხი.** ლურსმანზე ახვევენ 2-3 ხვია მავთულს. ხსნიან ლურსმნიდან და მოჭრიან ისე, რომ 20-25 მმ სიგრძის ბოლო დარჩეს. მოქლონს გაატარებენ შესაერთებელი დეტალების ნახვრეტებში. მავთულის დარჩენილ ბოლოს დაახვევენ ლურსმანს 2-3 ხვიით. ნახვრეტები სათამაშოებში მოქლონების განლაგების ადგილის ოდნავ ქვევით იხსნება.

**II ხერხი.** მოქლონის დეტალების შეერთების შემდეგ მის ბოლოებს შიდა მხრიდან გადახრიან სხვადასხვა მხარეს. ჩვენთვის ყველასათვის ნაცნობია ვინი პუჰის სახე. მსგავს სათამაშოებს ნახვრეტები ეხსნებათ მოქლონების განლაგების ოდნავ ქვევით. შემდეგ მოძრავ დეტალებს კრავენ სქელი ძაფით. თუ ძაფის ბოლოს მოვქაჩავთ, თოჯინა იწყებს „თამაშს“. ასეთ თოჯინებს მარიონეტებს ეძახიან.

სათამაშო „ხოჭო“-ს ფრთები ტანთან და ზედა ხარიხასთან დაკავშირებულია მოქლონებით. თუ რგოლებში თითებს გავუყრით და ავამოძრავებთ, ხოჭო ფრთებს გაშლის და დაკეცავს.



დავამზადოთ ბავშვების საყვარელი სათამაშო – სახელგანთქმული „ვინი პუჰი“.

**რესურსები:** მუყაო, ფერადი ქაღალდი, კალკა, პირის გადასაღები (კოპირების) ქაღალდი, უჯრედებიანი ქაღალდი, ფანქრები, მაკრატელი, სპილენძის მავთული, ლურსმანი, ამოსადები დაფა, წებო, ფუნჯი წებოსათვის, სქელი საკერავი ძაფები, შავი ფერის ფლომასტერი.

## გაკვეთილის მსვლელობა:




1. დაადგინეთ, რომელი დეტალებისგან შედგება სათამაშო. როგორ არიან ისინი ერთმანეთთან შეერთებული სათამაშოში?



2. უჯრედებიან ქაღალდზე დახაზეთ სათამაშოს და მისი დეტალების ესკიზი.

3. შეარჩიეთ სათამაშოს დამზადებისთვის აუცილებელი მასალა.

როგორი თვისებები უნდა ჰქონდეს მას?



4. გადაიტანეთ დეტალების კონტურები მუყაოზე კალკისა და პირის გადასაღები ქაღალდის დახმარებით.

5. გამოჭრით დეტალები.

6. დეტალების შეერთების ადგილებში გააკეთეთ ნახვრეტები.

7. ააწყეთ სათამაშო მოძრავი შეერთებით.

8. მორთეთ სათამაშო ფერადი ქაღალდის აპლიკაციით ან მოხატეთ ფერადი ფანქრებით.

9. ასეთივე ხერხით დაამზადეთ სათამაშო ხოჭო.

## პითავაგი



1. რომელი დეტალებია სათამაშოში მოძრავი?
2. როგორი ხერხით არის შესრულებული მოქლონები?
3. კიდევ როგორ შეიძლება დეტალების შეერთება?
4. რით განსხვავდებიან მოძრავი დეტალები ამორ სათამაშოში?



გააკეთეთ მოძრავი სათამაშო „კურდღელი“.



## **სარჩევი**

<b>ტექნოლოგიები და ტექნოლოგიური საშუალებები</b>	
გაკვეთილი 1. ტექნოლოგიების განვითარება	6
გაკვეთილი 2. საწარმოები და წარმოება	10
გაკვეთილი 3. ტექნოლოგიები და დამუშავების საშუალებები	13
გაკვეთილი 4. ტექნოლოგიური საშუალებებისა და მანქანების კლასიფიკაცია	16
გაკვეთილი 5. საყოფაცხოვრებო ტექნიკა	18
<b>ყოფა-ცხოვრების კულტურა</b>	
გაკვეთილი 6. მოვემსახუროთ საკუთარ თავს, დავიცვათ ჩვენი ჯანმრთელობა და მცენარეები	19
გაკვეთილი 7. სადილის სუფრები და მათი სერვირება	20
გაკვეთილი 8. სუფრის გაწყობა სტუმრებისთვის და დღესასწაულებზე	23
გაკვეთილი 9. სადილის სუფრასთან ქცევის წესები	27
<b>ქაღალდისა და მუყაოს დამუშავება</b>	
გაკვეთილი 10. ყდიანი ნაკეთობები. თხელი რვეული	29
გაკვეთილი 11. ჩარჩო სამსატვრო ნამუშევრებისათვის	32
გაკვეთილი 12. ფანქრების ჩასაწყობის დამზადება მუყაოსაგან	34
გაკვეთილი 13. ზარდახშა წვრილმანებისათვის	38
<b>ორიგამი და ნაყშების გამოჭრა</b>	
გაკვეთილი 14. ორიგამის სქემები	41
გაკვეთილი 15. ქაღალდის ქუდები	43
გაკვეთილი 16. ორნამენტები	46
<b>ძერწვა</b>	
გაკვეთილი 17. მრავალშრიანი ამოკაწვრა	49
გაკვეთილი 18. ჩაღრმავებული რელიეფი	50
გაკვეთილი 19. პლასტილინის ლენტისაგან დამზადებული კომპოზიცია	51
გაკვეთილი 20. ჭურჭლის დიზაინი	52
<b>კერვა და ქარგვა</b>	
გაკვეთილი 21. ქარგვა ჯვრებით	53
გაკვეთილი 22. გვირისტი „მარყუჟები“	55
გაკვეთილი 23. თოჯინა-სათბური ჩაიდანისთვის. თოჯინა ხელთათმანი	57
<b>კონსტრუირება სხვადასხვა მასალისგან</b>	
გაკვეთილი 24. შეფუთვის ლენტით შეკვრა	59
გაკვეთილი 25. მხატვრული კონსტრუირება, დიზაინი	60
გაკვეთილი 26. პაპიე-მაშესგან დამზადებული ნაკეთობები	62
გაკვეთილი 27. მოცულობითი ნაკეთობები ნაპრალისებრი ჩამკეტით	65
გაკვეთილი 28. ტყავის ნაკეთობების დამზადება	67
გაკვეთილი 29. ნაკეთობები პლასტმასის ბოთლისგან	69
გაკვეთილი 30. მერქნის თვისებები, დამზადება და დამუშავება	71
გაკვეთილი 31. ბენვა ხერხით ხერხვა	74
გაკვეთილი 32. მოძრავი სათამაშოები	77

**TEXNOLOGİYA**  
*Ümumtəhsil məktəblərinin 4-cü sinfi üçün*  
*«Texnologiya» fənni üzrə dərslik*  
Gürcü dilində

---

**Tərtibçi heyət:**

Müəlliflər:

Natiq Lütfiq oğlu Axundov  
Hümeyeir Hüseyn oğlu Əhmədov  
Xuraman Rəcəb qızı Səlimova  
Svetlana İslam qızı Yahyayeva

Tərcümə

**“İNTELEKTİ”**

Bədii və texniki redaktoru

**Abdulla Ələkbərov**

Rəssamı

**Gündüz Ağayev**

Dizaynerləri

**Aqil Əmrəhov, Təhmasib Mehdiyev**

*Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin  
17.06.2011-ci il tarixli 1133 №-li  
əmri ilə təsdiq edilmişdir.*

**© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi - 2016**

Kağız formatı 57x82 <sup>1</sup>/<sub>8</sub>. Fiziki çap vərəqi 10,0. Səhifə sayı 80.  
Uçot nəşr vərəqi 9,3. Tiraj 200. Pulsuz.

«Aspoliqraf LTD» MMC-nin mətbəəsində çap olunmuşdur.  
Bakı, AZ 1052, F.Xoyski küç., 121<sup>B</sup>

**PULSUZ**